დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გიორგი ნებიერიძე

წევრები:

ელისო შურღაია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

რუსუდანი არზიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ელენე კურდღელია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ანჟელა აბულაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ნანობაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ელიზა ბაგალიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ირმა ხუნდაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ვერა სომხიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	243880804

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხაშურის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლა
ფაქტობრივი მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლა
საფოსტო ინდექსი	5706
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kemferi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599901617

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება (26/09/2023 წ.) MES 6 23 0001243367
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16-17 ოქტომბერი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქემფერი
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქემფერი
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქემფერი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2023 წლის 16-17 ოქტომბერს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა.

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტების ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა სრული შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

	საშუალო საფეხური	

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში	*სკოლამ მოიპოვოს:*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	*1. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.* *2. დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (25.12.2023- მდე)*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განახლდეს თანამშრომელთა პირად საქმეებში ინფორმაცია მათი პროფესიული განვითარების შესახებ.*
ინდიკატორი 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.2.1	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;*	*აქტიურად ითანამშრომლოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*

	(დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი.*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების დამატება. საგნობრივ კურიკულუმში დამუშავდეს/გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა და მიეთითოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა გრძელვადიანი მიზანი (სამიზნე ცნებები), ქვეცნებები და რესურსები*
ინდიკატორი 2.1.2.5	*დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.*	• *ჩაატაროს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე და შედეგები ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;* • *გაანალიზდეს მასწავლებელთა თვითრეფლექსია კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდგომ და აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;*
ინდიკატორი 2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*დაწყებით საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში*

		კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს
ინდიკატორი 2.2.2.4	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	*განისაზღვროს/დაზუსტდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში (მე-5 კლასის II სემესტრისა და მე-6 კლასისათვის).*
ინდიკატორი 2.3.1.3	*მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.*	*შეიქმნას და დაიხვეწოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის განსაზღვრული აქტივობების შეფასების რუბრიკები.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი.*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების დამატება. საგნობრივ კურიკულუმში დამუშავდეს/გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა და მიეთითოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა გრძელვადიანი მიზანი (სამიზნე ცნებები), ქვეცნებები და რესურსები*
ინდიკატორი 2.1.2.5	*დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.*	• *ჩაატაროს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი დიაგნოსტიკური*

		წერების საფუძველზე და შედეგები ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში; • *გაანალიზდეს მასწავლებელთა თვითრეფლექსია კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდგომ და აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;*
ინდიკატორი 2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*საბაზო საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს*
ინდიკატორი 2.3.1.3	*მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.*	*შეიქმნას და დაიხვეწოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის განსაზღვრული აქტივობების შეფასების რუბრიკები.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი.*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური*	*სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების დამატება. საგნობრივ კურიკულუმში*

	ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	*დამუშავდეს/გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა და მიეთითოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა გრძელვადიანი მიზანი (სამიზნე ცნებები), ქვეცნებები და რესურსები*
ინდიკატორი 2.1.2.5	*დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.*	• *ჩაატაროს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე და შედეგები ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;* • *გაანალიზდეს მასწავლებელთა თვითრეფლექსია კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდგომ და აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;*
ინდიკატორი 2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*საშუალო საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს*
ინდიკატორი 2.3.1.3	*მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.*	*შეიქმნას და დაიხვეწოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის განსაზღვრული აქტივობების შეფასების რუბრიკები.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ.
აღსანიშნავია, რომ ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" მესამე სტანდარტთან მიმართებაში 3.4.1.1. ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსიფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

   მისიაში სკოლას დეკლარირებული აქვს, რომ აღზარდოს განათლებული, თვისუფალი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მატარებელი პიროვნება. ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევების განვითარებას. ჩაუნერგოს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება დაეხმაროს მოზარდს ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება- მოვალეობების გაცნობიერებაში. აღზარდოს კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქე. გამომდინარე აქედან, სკოლას აქვს მისია და ხედვა რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **1.1.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
2. სკოლამ მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში ასახულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ უნდა აღზრდოს ისეთი პიროვნება, რომელიც შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას და გადაწყვეტილების მიღებას. რომ იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე, მოსწავლემ შეძლოს ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა. მისი თითოეული მოსწავლე აღჭურვოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვებით, ჩამოუყალიბოს ქართულ ტრადიციაზე, ისტორიაზე დაყრდნობით ტოლერანტობის და ზნეობრივი ნორმები, იყოს კონკურენტ უნარიანი და ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლა. რომელიც მოზარდს მოამზადებს მუდმივად განვითარებად სამყაროში ორიენტაციისათვის. შესაბამისად სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **1.1.1.2 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
3. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შესახებ (ოქმები; ბრძანებები). სკოლამ წარმოადგინა მოქმედი მისია, ხედვა, ღირებულებები და განმარტა, რომ აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მისიის შემუშავების მეთოდოლოგია და გარკვეული სახის პრაქტიკა, კერძოდ, სკოლამ ჩაატარა გამოკითხვა (ანკეტირება) სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და ჩამოაყალიბა იდეები, თუ რა უნდა ყოფილიყო სკოლის პრიორიტეტი. გარდა ამისა სკოლის წარმომადგენლებმამ ისაუბრეს

აღნიშნული მისიისა და ხედვის ყოველწლიურ გადახედვასა და დახვეწის თაობაზე უკვე შემუშავებული ინსტრუმენტების გამოყენებით. შესაბამისად **1.1.1.3 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის მოქმედი მისიისა და ხედვის გაზიარება სკოლის მიერ განხორციელდა ანკეტებითა და კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის სკოლის მისიის გაზიარებას. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი მასალები, სადაც ასახულია ინფორმაცია თუ როგორ იყვნენ ჩართულები აღნიშნულ პროცესებში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი; მოსწავლე და მასწავლებლები. რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. შესაბამისად, **1.1.1.4 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
5. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრული საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე (skolebi.emis.ge) რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **1.1.1.5 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, **1.1.1.6 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

3. საჯარო რეესტრის ამონაწერი
4. სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ -ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად უნდა შემუშავდეს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.

   სკოლის მიერ მოწოდებულ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია დანართი 1 _ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები, რომელშიც აღწერილია, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი) ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს.

   აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ქვემოთ მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. **შესაბამისად, დადგინდა, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და 1.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა შესაბამისი წესით დამტკიცებული შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები) რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

   დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. გეგმაში სკოლას განსაზღვრული აქვს 4 სტრატეგიული მიმართულება ესენია: მიზანი: 1. უსაფრთხო ფიზიკური და ორგანიზებული სასწავლო გარემო; მიზანი 2. მმართველობითი პროცესები და ორგანიზაციული განვითარება; მიზანი 3. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; მიზანი 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა გაუმჯობესება და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით: ძირითად ამოცანად სკოლა ისახავს მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი, 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით.

   სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის კითხვარი. ასევე, დირექტორის ბრძანება და სამუშაო ჯგუფის ოქმები, რომლიც შეიქმნა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებითვე ჯგუფის წევრებზე გადანაწილდა შესასრულებელი ფუნქციები. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შემუშავებული და დამტკიცებული შვდიწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. **შესაბამისად 1.2.1.2 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მოწოდებული მასალებით დგინდება, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სტრატეგიულ გეგმაში (შვიდწლიან გეგმაში) წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და იმისათვის, რომ სკოლამ მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს აღნიშნული. შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შემუშავებული შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. შესაბამისად **1.2.1.3 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დგინდება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი

პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად **1.2.1.4 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა;
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
3. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ოქმები
4. სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანკეტები

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეთოდოლოგია აგრეთვე ემყარება შემდეგ პრინციპებს: 1. თანამონაწილეობა; 2. სასკოლო საზოგადოების

პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება; 3. გამჭვირვალობა; 4. ანგარიშვალდებულება რომელიც მოიცავს გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით. გარდა ამისა მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, კერძოდ სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება დოკუმენტში მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშ(ებ)ი, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და 1.2.2.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

2. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2.2 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**
3. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2.3 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**
4. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2.4 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, ექთანი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/ პირების თანამდებობრივ ინსტრუქციებში და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს. აგრეთვე მასწავლებლის ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით და სრულყოფილად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს

N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. აგრეთვე წარმოდგენილ იქნა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, 7 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს. **შედეგად დგინდება, რომ სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები, შესაბამისად, 3.1.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც პასუხისმგებლობებია გაწერილი. ბრძანებით შექმნილია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი- ხარისხის განვითარების ჯგუფი. აგრეთვე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ პირები/სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, **3.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები;
2. სტრუქტურა;

3. შრომითი ხელშეკრულებები;
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა; ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლაში დასქამებულ პირთა ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით.

   სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

   სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით,

დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგინდა, რომ ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, 3.1.2.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტებით (ოქმები, ბრძანებები) დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. გარდა ამისა, შინაგანაწესი ადგენს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაციას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს; შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე; იგი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის (კანონიერ წარმომადგენლის) მიერ. აგრეთვე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სკოლის მისია და საქმიანობა; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა; დასაქმებულის დანიშვნა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები (სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; სამუშაო ადგილი; სამუშაო დროის აღრიცხვა; სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემა; ზეგანაკვეთური სამუშაო; . სკოლაში ჩაცმულობის წესისამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, **3.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი სადაც სკოლას გაცხადებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს თანმიმდევრულ პროცესს, აგრეთვე სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლაში დასაქმების მსურველთა, დასაქმებულთა მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების ანალიზს. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელის შემადგენლობაც განსაძღვრულია კანონმდებლობით. თუმცა ერთ-ერთი საკონკურსო კომისიის ბრძანებით დამტკიცებულ საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ ფიქსირდებოდა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. გარდა ამის, პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ, გარდა ამისა 2020 წლის შემდეგ დანიშნულ მასწავლებელთა პირად საქმეებში ასევე წარმოდგენილია ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. **სკოლას მიეცა რჩევა, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განახლდეს თანამშრომელთა პირად საქმეებში ინფორმაცია. შესაბამისად, 3.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში სულ დასაქმებულია 25 თანამშრომელი, აქედან 18 მასწავლებელია (7 წამყვანი, 10 უფროსი, 1 მაძიებელი). თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი სტატუსი და გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის

(https://teacherjobs.ge/) გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი შემდეგი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად: გეოგრაფია; მუსიკა. შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის კანდიდატები. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას,

არსებული მონაცემებით სკოლაში ირიცხება 42 მოსწავლე. სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება მედდის (ექთანი) კვალიფიკაციის მქონე პირი. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სკოლაში ექთნის პოზიციაზე დასაქმებული პირი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი''. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. **3.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.

შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის წესს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები და სტრუქტურული ერთეულები ჩართულები იყვნენ თვითშეფასების პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური

მუშაობის პრინციპებს, **შესაბამისად, 3.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, რაც გამოიხატება დირექციის მხრიდან თანამშრომლისადმი სიგელის ან სერტიფიკატის გადაცემით ან შემეცნებითი ტურის (ექსკურსია) დაფინანსებით. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება და წინასწარ შემუშავებული გრაფიკი, რომელშიც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უკავშირდებიან და თანამშრომლობენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან; პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას და სხვადასხვა ერთობლივ პროექტებს.

   სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

   დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების ოქმი №7 (21.09.2023)
3. ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
4. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;

5. შრომითი ხელშეკრულებები;
6. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა როგორც პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი; ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ასევე მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით''. დებულებაში გაწერილია დებულების მიზანი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა, ჯგუფის წევრების მიერ გაკვეთილზე დაკვირვება/შფასების წესი, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით

სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. აღნიშნული დებულება ადგენს, რომ მასწავლებლის შეფასება ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღწერითი ან ფოკუსირებული დაკვირვეის სქემა. ამავე მუხლით განსაზღვრულია მასწავლებლის სტატუსების მიხედვით გაკვეთილზე დასწრების ინტენსივობა. გაკვეთილზე დასწრებას ახორციელებს ჯგუფის მინიმუმ 2 წევრი. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად მასწავლებელს ეძლევა წერილობითი განმავითარებელი შეფასება.

გარდა გაკვეთილზე დაკვირვებისა, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხორციელდება 4 მიმართულებით: ა) მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის შეფასება; ბ) საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასება და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასება; გ) პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლის აქტივობების/სტრატეგიების შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; დ) ხელშეკრულებით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და პროფესიული განვითარების სქემის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროფესიული აქტივობების შეფასება. სკოლის დირექტორთა გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით. სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე მექანიზმები. განსაზღვრულია შეფასების მნიშვნელობა, შეფასების გავლენა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შეფასებაში ჩართული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში ასახვის ფორმები. **ვინაიდან სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, 3.2.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

2. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავრორიზაციას 3.2.1.2 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**
3. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს: პერსონალის და მისი მოზიდვის მექანიზმებს; პერსონალის შერჩევას; სამუშაო აღწერილობებს; ორგანიზაციაში ადაპტაციას; პერსონალის შეფასებას; პერსონალის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობას; პროფესიული განვითარებას; წახალისებას და დისციპლინური პასუხისმგებლობას; თანამშრომელთა შორის კომუნიკაციას და არაფორმალურ ურთიერთობებს. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები. სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: მოქნილობა, სწავლის მხარდაჭერა, შეფასება, როგორც სწავლის საშუალება, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა, უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია

კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1.3 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 21 სექტემბრის №7 ოქმი), სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. სკოლისათვის ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, იმისათვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: 1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის წარდგენა კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. წარმოდგენილი დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, **შესაბამისად, 3.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების განვითარების დოკუმენტებში არის აღწერილი თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა **შესაბამისად, 3.2.1.5 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება №1კ-84
2. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ბრძანება
3. ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები
4. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა (სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 21 სექტემბრის №7 ოქმი)
5. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი რომელიც შემუშავებულია საინიციატივო ჯგუფის მიერ და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები; მმართველობითი პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს; ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორებს და სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულია სკოლის მისიასა და მიზანთან და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. სკოლის სასწავლო პროცესის შეფასების ფაზა ციკლურია, მოიცავს PDCA ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განორციელებას, შემოწმებას, განვითარებას. **ვინადაინ სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, შესაბამისად, 3.3.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, თანამშრომლის მიღების წესი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი, პერსონალის მუშაობის შეფასების წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისად, **3.3.1.2 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა

მოსწავლეს. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. **ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.3 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.
   პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების თაობაზე;
3. თანამშომელთა ხელშეკრულებები;
4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლა ატარებს ანონიმურ გამოკითხვებს, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები, სკოლას კი საშუალება ეძლევა მიიღოს უკუკავშირი და დაგეგმოს გასაუმჯობესებელი ნაბიჯები.
   სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სკოლის ოფიციალური ვებგვერდის (skolebi.emis.ge) და ფეისბუქ გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ აქტიურად იყენებს ინფორმაციის განსათავსებლად, აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.2.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:
   სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება.
   ხოლო რაც შეეხება პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. **პედაგოგიური საბჭო** იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.
   საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემჯამაებელი დავალებების ანალიზს.
   დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება **სამუშაო ჯგუფი (ისგ),** რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, 3.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქუტურული ერთეულების ოქმები;
2. უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ ბრძანება N1კ –4 (27.02.2019)
3. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი, რომელსაც გავლილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგი.

სკოლამ წარმოადგინა „სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MIA 7 23 02981700 - 11/10/2023).

სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით (შენობის მდგრადობა), დაწესებულებამ 2023 წლის 2 სექტემბერს წერილობით (MES 9 23 0001271666) მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას პასუხი მიღებული არ ჰქონდა.

დაწესებულებას არ აქვს მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, **შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და ვერ დგინდება შენობის ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა).სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 02.10.2023-25.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს: დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი. სკოლას შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალსწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, შესაბამისად **3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის შექმნას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო

შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც. შესაბამისად **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე. **3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7.ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **3.4.1.7. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
2. წერილი შენობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით (MES 9 23 0001271666)
3. სკოლის საგანგებო მართვის გეგმა (MIA 7 23 02981700 - 11/10/2023)
4. დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ
5. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება
6. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის (16.03.2023 წლის) ამონაწერის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 10088.00 კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართი - 695,28 კვ. მ-ია (ნაგებობა N1- მათშორის I სართული 346,58 კვ.მ., II სართული 346,79 კვ.მ) სკოლის ეზოში განთავსებულია საქვაბეც (ნაგებობა N2 - საერთო ფართი - 23,24 კვ.მ.; N3 საერთო ფართი - 19,70 კვ.მ). უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 69.10.56.003 სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული აქვს არსებობის ვადით (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლაში 10 მოქმედი საკლასო ოთახია. მოსწავლეთა მცირე რაოდენობის გამო (სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში ირიცხება 42 მოსწავლე) სკოლაში არსებობს ორი კლას-კომპლექტი (I,III; II,IV კლასები.) საკლასო ოთახებში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარი. სკოლის შენობაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორისთვის განკუთვნილი ოთახები, ექთნის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი და სამასწავლებლოს, რესურსოთახი, გარე სპორტული

მოედანი და სხვა დამხმარე სივრცეები. სკოლის პირველ სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები. **3.5.1.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. **3.5.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია. კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი და ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ორივე სართულზე შშმ პირის გადაადგილებას (ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა შშმ პირი) პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შესაბამისად **3.5.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. **3.5.1.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები:
გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ბიბლიოთეკა, ბუნებრივი გარემო და სხვ.
ისტ-ის მიმართულებით: მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 1 პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

სპორტის გაკვეთილებისთვის სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი, ხელოვნური ბალახის საფარით, აგრეთვე სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც უამინდობის დროს გამოყენებული იქნება სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად, თუმცა აქვს შიდა სივრცე, სადაც შეძლებენ კურიკულუმით განსაძღვრული აქტივობების განხორციელებას.

საბუნებისმეტყველო მიმართულებით:

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორის შესაბამისი სივრცე და დამხმარე ოთახი, სკოლას აქვს ხელსაწყოების და რეაქტივების, მოდელების და პლაკატების, სქემების, ცხრილების მწირი ჩამონათვალი, რაც სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების და მაღალი სააზროვნო უნარების, მათ შორის კვლევითი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას, ასევე მაგიდების ზედაპირი არის აალებადი, არ არის ამწოვი კარადა. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა აპირებს შეისყიდოს შესაბამისი ინვენტარი. **3.5.1.5.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები);
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოთახი.

საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, კერძოდ 8 კომპიუტერი, ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. კომპიუტერულ ოთახებში გარკვეულია წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს (შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე) და შეზღუდვებს (დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის). **3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისწარმოებელი,

3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციასთან ერთად მოქმედებს მატერიალური რეგისტრაციის ჟურნალებიც, რომლებიც დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. **3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: kemferi@mes.gov.ge- სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **3.6.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე. შესაბამისად **3.6.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება ხაშურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.**3.6.2.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების დებულება;
- დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების დებულების დამტკიცების შესახებ “;
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები;
- Eschool -ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/ , სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის მუშაობის დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.

3.6.3.1. ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს (skolebi.emis.ge) სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **3.6.3.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი 3.6.3.3. ვერ იქნება შეფასებული;**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი. სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცი და იგი ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. . **3.6.3.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ასევე განსაზღვრულია გასაჩივრების მექანიზმები, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ზემოაღნიშნული ინფორმაცია განთავსებული იყო სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში და აგრეთვე გამოკრული იყო სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. **3.6.3.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდის https://skolebi.emis.ge/ დათვალიერება;
- სკოლის სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას ,რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება **3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;

- სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება
- სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ";
- სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლას ჰყავს დარაჯი, მორიგე მასწავლებლები. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია და დამტკიცებულია სკოლის მიერ. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **4.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სადამრიგებლო პროგრამებით და დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. **4.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
2. ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
3. სკოლის შინაგანაწესი
4. მშობელთა კრების ოქმი
5. სასკოლო სასწავლო გეგმა
6. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
7. სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები.**4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოცილურ ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი **4.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს როგორც ოფიციალური ვებ.გვერდის, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საქმისწარმოებელი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. მომავალ წლებში სკოლა გეგმავს კითხვარების შემუშავებას სასურველი თემების განხილვის მიზნით. 4.1.2.4. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის დებულება;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და მასწავლებლის/სხვა დასაქმებულის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების აღმწერი დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელის მოიცავს: ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვანი ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღეს; დეზადაპტაციის ნიშნებს; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებებს; **4.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ საშუალება, დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ცხადდება კონკურსი ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დირექციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება

სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. **4.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში.**4.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სასკოლო საზოგადოება ჩართულია სასკოლო დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის სახით ესენია: მხატრული კითხვის წრე I_VI კლასები; ინგლისური ენის წრე I-XII კლასებში; მათემატიკის წრე I-XII კლასები; ხელოვნების წრე III-VIII კლასები; ქიმიის წრე - ზრუნვა გარემოს დაცვაზე VIII-IX კლასი; მუსიკის წრე,,ჰანგი'' I-XII კლასი. სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურილი, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლას სურს მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება ხდება სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც. გარდა ამისა სკოლაშ ფუნქციონირებს ინგლისური ენის კლუბი „let's speak English". აღნიშნულ კლუბს აქვს საკომუნიკაციო დანიშნულება. კლუბში გაწევრიანება შეუძლია ქემფრის საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენით დაინტერესულ მოსწავლეებს. **4.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 4.2.1.6 ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დამრიგებლის სამუშაო დებულება;
2. სადამრიგებლო პროგრამები;
3. მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესის
4. კლუბის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებით (ოქმები/ფოტომასალა) და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა გეგმით რომელშიც გაწერილია ყოველთვიური აქტივობები. კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს სხვადასხვა პროფესიაზე. დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მუშაობს აღნიშნული მიმართულებით და აპირებს მიმდინარე წელს მოსწავლეებს შეთავაზონ სხვადასხვა პროგრამა მაგალითად კულინარიის ხელოვნება. პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების მოწვევა და საუბარი მათ პროფესიაზე, პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით. აგრეთვე დაგეგმილია მოსწავლეთა ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში. **სკოლას მიეცა რჩევა, აქტიურად ითანამშრომლოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. 4.2.2.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. აგრეთვე სკოლა აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს

კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას. ყოველი წლის განმავლობაში, სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ სხვადასხვა რეგიონალურ პროფესიულ კოლეჯებს და საწარმოებს.

4.2.2.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 4.2.2.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრება;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება“. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ

მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ეწყობა შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლა. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების საქმოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორი 4.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და დეტალურად გაეცნენ მის საქმიანობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. სპეც. მასწავლებელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სსსმ მოსწავლეები ატიურ მონაწილეობას იღებენ სასკოლო ღონისძიებებში.

ინდიკატორი 4.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება
2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
3. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;**

2. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

3. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად დგინდება რომ კათედრაზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო ამავე კათედრის თითოეული პედაგოგი. მათ ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადების მიერ და დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტებზე. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე მათ წარმოადგინეს თავიანთი ინდივიდუალური ხედვა, განსაზღვრულ იქნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები და მასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა მოკლევადიანი მიზნები, შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არაფორმალური განათლებას, როგორიცაა პროექტებით სწავლება და სასკოლო და კლასგარეშე აქტივობები. კურიკულუმის შექმნა ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ საგნმანათლებლო პარადიგმას. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას.

როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექტურად. რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში.

გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავალებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედეგები სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

სკოლას მიეცა რჩევა:

კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი. ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. როგორც სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. კურიკულუმის თემების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, სადაც გაზიარებულ იქნა გასული წლების გამოცდილება და პრაქტიკა. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სასკოლო გეგმაში, პედ. საბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. კათედრების მიერ გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მოსწავლეების განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ფორმალური და არაფორმალური კომპონენტების გამოყენებით თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. ინტერვიურებისას ასევე დადასტურდა, რომ მასწავლებლები მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, მიღწევის დონეს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები კლასის მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს დამტკიცებულ კურიკულუმებს; ასევე, სკოლა იყენებს teams-ის პლატფორმას და სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები უზიარებენ მშობლებს დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს.
ინტერვიუზე აღინიშნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წლის განმავლობაში ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირების მიზნით. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგალითად, უცხოური ენების საფეხურის კურიკულუმი, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგების მიერ ურთიერთთანამშრომლობით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითადად სრულად ფარავს ყველა სავალდებულო თემას (ბუნებისმეტყველების I-IV და V-VIკლასებI, სწორად არის ასახული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართებები, გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს ძირითადად ორი სავალდებულო თემიდან კომპლექსური დავალების განხორციელება იგეგმება მხოლოდ ერთ თემაში, ჩარჩოში ასახულია შერჩეული კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ- მაგალითი. ხოლო მეორე თემაში გაწერილია მხოლოდ საკითხი/საკითხთა კლასტერი, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით.
რიგ შემთხვევებში არაა წარმოდგენილი თემატური მატრიცები კომპლექსური დავალებებით, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვემსჯელა, თუ რამდენად ორიენტირებული არიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები კონსტრუქტივისტული

პრინციპების სასწავლო პროცესში გამოყენებასა და დიფერენცირებულ მიდგომებზე, სკოლას მიეცა რჩევა წარმოედგინათ თემატური მატრიცები კომპლექსურ დავალებებთან ერთად. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. კათედრებს შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის აქვთ კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება. ასაკის შესაბამისად, მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ისინი არიან შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. მაგ.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. ასევე სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები და ქვესაკითხები, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები.
კომპლექსური დავალებების იდეები შერჩეულია ისე, რომ შესაბამისი კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს განუვითარდეთ ფუნქციურ-კოგნიტური უნარები, რაც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებელს წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს უწევთ ჩართვა კომუნიკაციაში, შემოქმედებითად უდგებიან პრობლემის დაძლევის გზებს, აზროვნებენ კრიტიკულად, მუშაობენ დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად, ჯგუფურად და უვითარდებათ გუნდური მუშაობის პრინციპები, ისმენენ სხვების აზრს და სწავლობენ სხვისი აზრის პატივისცემას, უმუშავდებათ რეფლექსიის და თვითშეფასების უნარები, რაც ეხმარება მათ პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რის გააქტიურებას, გაცნობიერებას, ჩვევად ქცევას, გააზრებულობას და სრულყოფას უწყობს ხელს სწავლისადმი ასეთი მიდგომა. მოსწავლეები ახალ ცოდნას ეუფლებიან კონსტრუქტივისტული პრინციპით წინარე ცოდნაზე და ცოდნის სამივე კატეგორიაზე დაყრდნობთ;მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე). როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება.
სკოლას მიეცა რჩევა: სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების დამატება. საგნობრივ კურიკულუმში დამუშავდეს/გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა და მიეთითოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა გრძელვადიანი მიზანი (სამიზნე ცნებები), ქვეცნებები და რესურსები. ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის მწირი გამოცდილება, ვინაიდან სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა გარკვეულწილად მიიღეს ამის გამოცდილება ქოუჩინგის პროცესიდან გამომდინარე. ეს გამოცდილება ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, სასწავლო პროცესში გამოიყენება ლაბორატორიული პრაქტიკუმებიც(თუმცა ლაბორატორიაში მწირია რესურსები), უსაფრთხო საშინაო ცდები, ვიდეო მასალები ცდების ჩვენებით, სხვადასხვა ცხრილები, ტაბულები და სხვადასხვა პლატფორმის ონლაინ რესურსები, სადაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები იძლევა სასწავლო პროცესის ინკლუზიურად განხილვის საშუალებას;
საგნობრივ კათედრებს აქვთ პრაქტიკა შეიმუშაოს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოსწავლეთა საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგენილია მულტიდისციპლინური გუნდის მიერ; **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათ აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის პრაქტიკა (ჩატარებული ქოუჩინგი), განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისა და მეთოდიკური ორიენტირებისკენ, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დგინდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმების შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში; განმავითარებელი შეფასების რუბრიკით კი დგინდება მოსწავლის განვითარების დინამიკა და მოლოდინები.
სკოლა გეგმავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შექმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ყველა თემის ფარგლებში საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ- მაგალითთან მიმართებაში, რაც აისახება ქოუჩინგის ფორმატში შექმნილ შემაჯამებელ დოკუმენტებში. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; განსაზღვრულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ გამოყენებულ დოკუმენტებს, ინსტრუმენტებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე

გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგრომასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კათედრებზე აანალიზებენ და ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რადგან კათედრის სხდომებზე ხდება შემაჯამებელ დავალებათა შედეგების გაანალიზება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად მოხდება არსებული კურიკულუმების განახლება, შემუშავება და დანერგვა წინა წლის გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით, რაც ასევე დაფიქსირებულია სასწავლო მიზნებში(დანართი 12);

სკოლას მიეცა რჩევა:

- **ჩაატაროს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე და შედეგები ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;**
- **გაანალიზდეს მასწავლებელთა თვითრეფლექსია კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდგომ და აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;**
- **სკოლამ წარმოადგინოს კათედრის სხდომის ოქმი, სადაც ასახულია შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;. ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ რეგულაციები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული

სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლებს შესთავაზებენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდაგვარდ შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

დაწებითი საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმები იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია და გასაქანი მისცეს მის შემოქმედებით აზროვნებას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში, ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, რომლებშიც მოსწავლეა ცენტრალური სუბიექტი. თავად მოსწავლე გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით - წერილობით, კომიქსებითა და ილუსტრაციების საშუალებით, ერთვება დისკუსიებში. მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდის მიზნით კათედრის წევრები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებსა და კოგნიტურ სქემებს. დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გვხვდება კომპლექსური ბუნების იმგვარი დავალებები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კურიკულუმებში სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, თვითშეფასების სქემები, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას. კერძოდ, სკოლაში უცხო ენის კათედრის ინიციატივით მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა.

სკოლას მიეცა რჩევა:

დაწყებით საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების

თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კათედრები იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს და კითხვარებს იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. როგორც პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, იყენებენ და მომავალ სასწავლო წელსაც აუცილებლად გამოიყენებენ „მოსწავლის თვითშეფასებას“, რომელიც ხელს შეუწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, სადაც მოსწავლე ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის გაანალიზებას ,რის შედეგადაც მოსწავლეს უვითარდება თვითეფექტურობის განცდა და ხდება თავდაჯერებული. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მიმდინარე წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება. მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. მიმდინარე წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანებს , რომ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, საჭირო გახდება როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში პრიორიტეტულია პროექტებით სწავლება. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო;
- პროექტები, კომპლექსური დავალება ;
- კომპლექსური დავალებები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება,

თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, მასწავლებები აქტიურად ახორციელებდნენ სკოლის სახელმძღვანელოში მოცემულ კომპლექსურ დავალებებს და თავადაც ქმნიდნენ. სკოლას აქვს მაღალი მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.**ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მიღებული ცოდნა იყოს ფუნქციური და ხელი შეუწყოს მის პიროვნულ განვითარებას. ასეთი დავალებების შექმნის მიზნით საგნობრივი კათედრების მუშაობა და ინტეგრირებული სწავლის სტრატეგია მიაჩნიათ ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. კომპლექსური ბუნების დავალებებთან ერთად, ასევე დიდი როლი შეიძლება შეასრულოს პროექტულმა სწავლებამ, სადაც ყველაზე ეფექტურად ხდება ცოდნის ტრანსფერი. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის იგეგმება და ხორციელდება სასკოლო აქტივობები. თითოეული მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანობა და გარემო ურთიერთობები, რომელიც გულისხმობს თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერებისა და პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, რომელიც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს. სკოლა გეგმავს ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა ექსკურსია, ლაშქრობა, სასკოლო ღონისძიებები სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების სქემები (დისკუსიის, ზეპირმეტყველების, ინფორმაციის მოძიება, ექსპერიმენტის , პროექტის რეფერატის, პრეზენტაციის, მოსწავლის თვითშეფასების, უცხოური ენის, ქართულ ენისა და ლიტერატურის წერითი შემაჯამებელი დავალების, მათემატიკის წერითი შემაჯამებელი დავალების, სახვითი და

გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი დავალების, ტექსტური ამოცანა, რომლის ამოხსნა მოითხოვს განტოლების შედგენას და ამოხსნას, გაკვეთილზე ჩართულობის, ტესტირების) რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. ამ ეტაპზე სკოლაში იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ძირითადად შემოიფარგლება მასწავლებელების მიერ მიცემული სიტყვიერი კომენტარებით. ასევე რიგ შემთხვევებში კომპლექსური დავალებები ფასდება სოლო ტაქსონიმიიით. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონიმიის შესაბამისად და მასწავლებელი ხედავს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს ასევე განავითარებელ რეკომენდაციებს. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობოთი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ როგორც დავალების მიმდინარეობისას, ასევე შეჯამების პროცესში. განმავითარებელი შეფასება მოიცავს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და ხელს უწყობს მისი განვითარების პროცესს. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. მასწავლებელთა ინტერვიურების თანახმად, იგეგმება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები(რუბრიკები), რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია სწორედ საგნობრივი შედეგების შესაბამისად. ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე თანამშრომლობით მუშავდება და ერთმანეთთან თანხმდება შეფასების რუბრიკები, მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, გამოკრულია კლასში თავლსაჩინო ადგილას. რიგ შემთხვევებში მოსწავლეებთან ერთად იქმნება შეფასების კრიტერიუმები. სადიაგნოსტიკო წერის გამოცდილება სკოლას არა აქვს, თუმცა მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შეირჩა ,,საკლასო წერა“. დიაგნოსტირება 2023-2024 სასწავლო წელს ჩატარდება ორჯერ ხოლო მონაცემები დამუშავდება ყოველი პირველი მოსწავლის საფუძველზე. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი, რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ.

სკოლას მიეცა რჩევა:

განისაზღვროს/დაზუსტდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში (მე-5 კლასის II სემესტრისა და მე-6 კლასისათვის). ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებსთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ ჰქონდათ, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიაზრებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ამასთანავე, არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს ,,საკლასო წერა“

მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

- სკოლის თვითშეფასება
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანებები და ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან გასაუბრების და მტკიცებულებების გაცნობა/შესწავლის შედეგად ნამდვილად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში და მასწავლებლებს არ გაუვლიათ ქოუჩინგის ფორმატში მიმდინარე შეხვედრები, მასწავლებლები მუდმივად ესწრებიან ვებინარებს ან ისმენენ ჩანაწერებს, უზიარებენ სიახლეებს ერთმანეთს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მათ კარგად აქვთ გააზრებული თითოეული მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია(42 მოსწავლე), შესაბამისად ყველა მასწავლებელი (17 მასწავლებელი) ცდილობს ფოკუსირებული იყოს მოსწავლეთა მხარდაჭერაზე, გამოავლინოს მათი ინტერესები, საჭიროებები და ეს მნიშვნელოვანი ნიუანსები გაითვალისწინოს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას. მართალია 2023-24 სასწავლო წელი პირველი წელია, როდესაც სკოლამ შეიმუშავა საგნობრივ კურიკულუმებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი(მესამე თაობის ესგ), მაგრამ კათედრებს კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები, რაც უპირველეს ყოვლისა შედეგების გაუმჯობესებას და მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენას უნდა ემსახურებოდეს. ასევე სასწავლო წლის განმავლობაში სკოლას დაგეგმილი აქვს პროექტების განხორციელება, სადაც რამდენიმე საგნობრივი კათედრა გაერთიანდება და მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ ცოდნის ტრანსფერისა და ურთიერთდაკავშირების შედეგად გაიაზრონ, როგორც საგანთა შორის კავშირი, ასევე კავშირი საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. აღნიშნულ პროექტებში სინქრონულად მუშავდება საგნობრივი გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მაკროცნებები და ფუნქციური უნარები, რაც სკოლის მიერ შემუშავებული პროექტების მიზნობრივ ორიენტირებს წარმოადგენს და მოსწავლეებს ამა თუ იმ საკითხის მრავალკომპონენტურად და სიღმისეულად გააზრებაში უწყობს ხელს. სასკოლო კურიკულუმის თანახმად სკოლას დაგეგმილი

აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებების განხორციელება პირველ და მეორე სემესტრში (მესამე ინსტრუმენტი). დიაგნოსტირებამ უნდა გამოავლინოს რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს, რა ცვლილებებს განახორციელება იქნება საჭირო, რა ფაქტორებზე დაყრდნობით დაიგეგმება ინტერვენციული ნაბიჯები, ცხადია ამ სურათს მოსწავლეთა რეფლექსიით მიღებული მონაცემთა ანალიზირება გამოავლენს. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები მკაფიოდ განსაზღვრავს როგორი მოქალაქის აღზრდას ისახავს სკოლა მიზნად და რა უნარების განვითარებას ემსახურება სასწავლო პროცესი. სკოლაში ყველანაირი ხელშემწყობი ფაქტორი (მატერიალური, ტექნიკური, ფსიქოლოგიური, მორალური) არსებობს იმისთვის, რომ მოსწავლე სრულფასოვნად იყოს სასკოლო ცხოვრებაში ჩართული და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. კათედრები რეგულარულად აწარმოებენ შემაჯამებელი სამუშაობების ანალიზს და შედეგებიდან გამომდინარე გამოკვეთენ მოსწავლეზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ მიდგომებს. შეიმუშავებენ დიფერენცირებულ დავალებებს, შეფასების სქემებს, რომელთაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. მასწავლებლების ხელშეწყობით მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის მართვაში, რაც პოზიტიური სასწავლო გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამ კუთხით თვალნათლივ გამოჩნდა მეგობრული, თბილი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა სასკოლო თემის წარმომადგენლებს შორის. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით საქმიანობაში, მათი ინიციატივები წახალისებულია და მხარდაჭერილია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შერჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, კარგად ხედავს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას, რაც საშუალებას მისცემთ სასწავლო პროცესს უფრო სიღმისეულად დააკვირდნენ და სიტყვიერი თუ წერილობითი კომენტარით მყისიერად მოახდინონ რეაგირება მოსწავლეთა მიღწევებზე. იმისთვის, რომ, თემები/ქვეთები/საკითხები სიღმისეულად იქნეს შესწავლილი კათედრებს დამტკიცებული რესურსების გარდა, მომზადებული აქვთ დამატებითი დამხმარე მასალები და პრეზენტაციები, მათი მიზანია მოსწავლეებს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით საგნობრივი სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაში დახმარება. ამგვარად მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებისა და მეთოდური სტრატეგიების გამოყენებით მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის ხელშეწყობას და სწავლა-სწავლებისას მათი ავტონომიურობის მაჩვენებლის ზრდას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის წრეები, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით შეისწავლონ/გაიღრმავონ/განივითარონ ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების გეგმა. SWOT ანალიზის საფუძველზე გაცნობიერებული აქვს ძლიერი, სუსტი და გასავითარებელი მხარეები. იცის როგორ და რა მიზნებზე დაყრდნობით გაუმჯობესოს სასწავლო პროცესი. მოწოდებული მასალების გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ

ცხადყო საგანმანათლებლო სიახლეების დანერგვისა და პროფესიული განვითარებისკენ მისწრაფება. სკოლაში არსებობს მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რაც კოლეგებს შორის სიახლეების გაზიარებით, ტუტორის საქმიანობით, საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებით, მიღებული შედეგების ანალიზირებითა და სამომავლო შედეგებზე ორიენტირებული ნაბიჯების დაგეგმვით ვლინდება. როგორც საუბრებში აღნიშნეს მასწავლებლებმა მათი ყოველი სამუშაო დღე ეს არის ერთი დიდი, გაერთიანებული კათედრის შეხვედრა, სადაც განიხილავენ, როგორც შიდა სასკოლო პროცესებს, ასევე პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებულ სიახლეებს. სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა მიუხედავად ამისა, გასულ სასწავლო წელს კათედრები დამოუკიდებლად შეეცადნენ დაენერგათ კომპლექსური დავალებები. მათთვის საინტერესო იყო დაკვირვებოდნენ დანერგვის პროცესს და მიღებული შედეგების საფუძველზე გაეკეთებინათ პირველადი დასკვნები. აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალების პირობები დამოუკიდებლად შექმნეს, მათ არ გამოუყენებიათ სანიმუშო ვერსიები. დღევანდელი გადმოსახედიდან ცხადია, მკაფიოდ ხედავენ გამოვლენილ ხარვეზებს, მაგრამ მიიღეს დიდი გამოცდილება და ნათლად აქვთ გათავისებული, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულმა კურიკულუმმა შესაძლოა სამუშაო პროცესში განიცადოს გარკვეული ცვლილებები. აქვე ისიც, უნდა ითქვას, რომ არსებობს მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა მშობლებთან. მასწავლებლები მათ უზიარებენ კომპლექსური დავალებების ბარათებს, პერიოდულად წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ხდება მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის გააანალიზება და შედეგების გათვალისწინება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით. სასკოლო თემის მჭიდრო და კოლეგიალური ურთიერთობა საფუძველს უყრის საუკეთესო გამოცდილებების დაგროვებას (კომპლექსური დავალება, პროექტი, აქტივობა, გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა), რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლა თანდათან ყალიბდება ინსტიტუციურ დაწესებულებად, რომელსაც ექნება საკუთარ საჭიროებებზე მორგებული უნიკალური სასკოლო კურიკულუმი. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა იყენებს საკლასო კომპლექტაციებს, რაც თავისთავად ნიშნავს სხვადასხვა განვითარების, შესაძლებლობების, უნარების მოსწავლეთა გარკვეული პერიოდით ერთ სასწავლო გარემოში გაერთიანებას. ასეთ ვითარებაში ინკლუზიურ სწავლებასა და დიფერენცირებულ მიდგომას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რაც სასკოლო საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული და ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ შექმნან უსაფრთხო, მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სააღმზრდელო და სამუშაო საქმიანობის ისეთ ღირებულებებზე დაფუძნება, როგორიც არის: მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, შესაბამისად ეს ფაქტორები კარგად ჩანს, როგორც კოლეგების ურთიერთდამოკიდებულებაში, ასევე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობებში. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია, როგორც კომფორტული ფიზიკური გარემო, ასევე მოსწავლეების ინტელექტუალური და სოციალური უსაფრთხოება/ხელშეწყობა:

სკოლის შენობის რეაბილიტაციის შედეგად მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, ინტერნეტით, მუსიკალური ცენტრით, პროექტორით, სპორტული მოედნით. არსებობს საკმარისი ადგილი იმისთვის, რომ მოეწყოს ნამუშევრების საგამოფენო ჩვენებები. კლასების ფართი იძლევა გაკვეთილის სხვადასხვა ფორმით ორგანიზების

შესაძლებლობას(მერხების წრიული განლაგება, დაჯგუფება, კედლების გასწვრივ განლაგება და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ სასკოლო ფიზიკური გარემოს მოწყობაში თავად მოსწავლეები არიან ჩართულნი, მაგალითად: სასწავლო-შემეცნებითი პოსტერების, საკუთარი მხატვრული ნამუშევრების და რეპროდუქციების გამოფენა საკლასო სივრცეში და სკოლის ფოიეში.

საჭიროებიდან გამომდინარე (არაფორმალური სწავლება, მშობლებთან შეხვედრა, მოსწავლესთან ინდივიდუალური შეხვედრა, დავალებების ატვირთვა, ნამუშევრების გაგზავნა და ა.შ.) სკოლა ეფექტურად იყენებს თიმსის პლატფორმას.

სკოლას აქვს ყველანაირი ხელშემწყობი პირობა იმისთვის, რომ სსსმ მოსწავლე მარტივად ადაპტირდეს სასწავლო და ფიზიკურ გარემოში და შეძლებისგადვარად აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

მასწავლებლები ინტერესდებიან მოსწავლეთა სასწავლო პრობლემებით და იკვლევენ მათ ემოციურ, სოციალურ და აკადემიურ საჭიროებებს. ინდივიდუალურად, დიფერენცირებულად, შემოქმედებითად უდგებიან თითოეულ მოსწავლეს, ხშირად მიმართავენ მათთან დიალოგს და სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს.

გარდა სასკოლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების სისტემისა, მასწავლებლები იყენებენ არაფორმალური შეფასების ინსტრუმენტებსაც, როგორიცაა სიტყვიერი პოზიტიური კრიტიკა და პოზიტიური კომენტარი. ცდილობენ, მოსწავლეებს მცირე ასაკიდან განუვითარონ ჯანსაღი თვითშეფასების უნარი და შესაბამისად თვითრეფლექსია და პასუხისმგებლობა აქციონ მათივე წარმატება/წარუმატებლობის მთავარ საზომად.

სასწავლო მიზნების და შედეგობრივი მაჩვენებლების დასადგენად მასწავლებლები ძირითადად იყენებენ საგნობრივ სტანდარტებში მოცემულ შეფასების რუბრიკებს, მაგრამ შედეგების ანალიზის საფუძველზე პერიოდულად შეიმუშავებენ კონკრეტულ საჭიროებებზე ფოკუსირებულ რუბრიკებსაც, რაც სასწავლო პროცესში იდენტიფიცირებული გარკვეული პრობლემის/ების აღმოფხვრას ან/და რაიმე საკითხის სიღმისეულ გააზრებას ემსახურება.

სკოლაში მომუშავე მასწავლებლები სხვადასხვა ტრენინგებში, ვებინარებში და პროფესიული ხასიათი სასწავლო მოდულებში აქტიურად არიან ჩართულები. ამის მაჩვენებელია სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვა და მოსწავლეებში ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნებისა და ტრანსფერული უნარების გასავითარებელი სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება.

სასკოლო გარემოში დიდი ყურადღება ექცევა თვითრეგულირებადი ქცევის კულტურის ჩამოყალიბებას, რაც მიიღწევა კარგად დაგეგმილი გაკვეთილის, ორგანიზებული გარემოს და მოსწავლეთა ინიციატივის წახალისების ხარჯზე. კომპლექტაციით წარმოდგენილ კლასებში მოსწავლეებისთვის მკაფიოა გაკვეთილზე შესასრულებელი დავალების, აქტივობის, სამუშაოს დეტალები. ყველა მოსწავლე თავისი საქმითაა დაკავებული. შესაძლებლობა ეძლევათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება და გამოავლინონ ლიდერული უნარები.

სკოლა ხშირად ახორციელებს სასკოლო პროექტებს, სადაც გავალისწინებულია მოსწავლეების არჩევანი და შეხედულებები. ნებისმიერი ღონისძიების დაგეგმვის დროს მასწავლებლების მხრიდან ხელშეწყობილია მათი ინიციატივების და პასუხისმგებლობების წახალისება, მაგალითად: მონაწილეობა ექსკურსიის მარშრუტის დადგენა/დაგეგმვაში, უმცროსკლასელთა დახმარება, სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება. შესაბამისად **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მასწავლებელთა თვითშფასების კითხვარები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის და კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს. მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). მონიტორინგს და შეფასებას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას მონიტორინგის განხორციელების გარკვეული გამოცდილება აქვს. წინა სასწავლო წელს ჩატარდა კვლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი საჭირობების დადგენის მიზნით. სკოლა აცნობიერებს, რომ ეს კვლევა არ არის საკმარისი ობიექტური სურათის შესაქმნელად და ამ მიმართულებით ეტაპობრივად გააუმჯობესებს მეთოდოლოგიას. სკოლაში ხორციელდება ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებისთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა. დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ფასდებიან მოსწავლეები ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კონკრეტულად მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შედეგები, ან მისი მეთოდოლოგია. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, სამომავლოდ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად და უფრო სისტემურ ხასიათს მიიღებს. **ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებს და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმებს ასევე მითითებულია, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);

სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). სასკოლო კურიკულუმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავებულია სწავლა სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. სკოლაში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები, როგორიც არის მაგალითად კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, ზოგ შემთხვევაში მოსწავლეთა მხრიდან ნაკლები ინტერესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს დავალების წარდგენისა და განხორციელების ეტაპებზე გამოვლენილი ხარვეზები და რაც მთავრია დროის მენეჯმენტის სერიოზული პრობლემა. ყველა საგნობრივ კათედრაზე შედგა გამოკითხვის შედეგების განხილვა დირექციის ჩართულობით. გამოიკვეთა არსებითი ხარვეზები და გაიმართა მსჯელობა, როგორ შეიძლება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. აქედან გამომდინარე, დგინდება რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიდან დგინდება, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესებზე დაკვირვების და კათედრებზე ურთიერთანამშრომლობის შედეგად მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. მოსწავლეების შედეგების ანალიზი ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. დირექციის წარმომადგენლები, პერიოდულად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ საგნობრივ კურიკულუმებს. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა.

სკოლას მიეცა რჩევა:

შეიქმნას და დაიხვეწოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის განსაზღვრული აქტივობების შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12;)
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- ხარისხის მართვის მექანიზმი;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შემდგომ წინსვლაში. მიმდინარე სასწავლო წლიდან გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების განხორციელებას. სკოლას ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და მათზე დაყრდნობით შეფასების შემუშავების პროცესშია. ამჟამად, სკოლას ჰყავს ინდივიდუალური საჭიროების მოსწავლეები დაწყებით და საშუალო საფეხურზე. სკოლა შეფასების სისტემებს ქმნის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალიწინებით.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია აჩვენებს, რომ სკოლაში მასწავლებელები აკეთებენ ჩანაწერებს და შემდეგ კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავებენ მატრიცებს. კოლეგების მიერ ხორციელდება თემატური მატრიცების ერთობლივი განხილვა. სკოლაში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების მეთოდსაც.
სასკოლო გეგმის თანახმად, სკოლა მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასრულებამდე 2 კვირით ადრე აპირებს ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები დაწყებითის საფეხურზე ქართულ ენა და ლიტერატურასა და მათემატიკაში.

დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.
სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოიყენებს მრავალფეროვან დავალებებს. შეფასებისას გაითვლალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს, დროს, გარემოს, წინასწარ ინფორმირების ხარისხს და ა.შ. შეფასება ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვლობას. გათვალიწინებულია სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები.
შეფასების სისტემის ვერიფიკაციას უზრუნველყოფს საგობრივი კათედრები, დირექტორის მიერ შექმნილი კომისია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს.გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასებისას კათედრების წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე და გასაუბრებებზე დაყრდნობით დოკუმენტის განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებას. სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოიყენებს მრავალფეროვან დავალებებს. შეფასებისას გაითვლალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს, დროს, გარემოს, წინასწარ ინფორმირების ხარისხს. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა იყენებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების, შედეგების ანალიზის მეთოდებს. მიმდინარე წელს განახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს. სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებისა და ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერებას. სკოლა გეგმავს სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოყენებს მრავალფეროვან დავალებებს, როგორებიცაა: პრეზენტაციები, კომპლექსური დავალებები, დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პროექტი, რეფერატი **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. მიმდინარე წლის სასწავლო გეგმით გათვალიწინებულია შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალიწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმები, რომელშიც გათვალიწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, პროგრესი, საკლასო გარემო, სასწავლო რესურსები, მოწავლის ინტერესები, შესაძლებლობები და ა.შ.
სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებლების თვითშეფასების დოკუმენტი, რომელშიც ნაჩვენებია პროფესიული განვითარებისკენ სწრაფვა, სასწავლო პროცესის ანალიზისა და დაგეგმვის უნარები. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგია.

- სკოლის თვითშეფასება.
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდა განვლილი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, ამასთან ერთად სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას კონსულტაციებს გადის საგნობრივი ექსპერტებთან და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერ ჯგუფთან, ამ მონაცემების შეჯერების და რეკომენდაციების საფუძველზე სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; რომლის რეკომენდაციებიც ჩაიშლება მიმდინარე სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია სკოლის კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. **ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებულია კურიკულუმის რევიზიის პროცესში, რომლებიც ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, რამდენად მიზნობრივად შესრულდა კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და როგორ აისახა იგი მოსწავლის შედეგებზე. მიღებული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება ახალ სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ამის შედეგად სკოლის 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის რევიზირებული კურიკულუმები, ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს. **ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასება
- საგნობრივი კურიკულუმები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად დგინდება რომ კათედრაზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო ამავე კათედრის თითოეული პედაგოგი. მათ ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადების მიერ და დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტებზე. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე მათ წარმოადგინეს თავიანთი ინდივიდუალური ხედვა, განსაზღვრულ იქნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები და მასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა მოკლევადიანი მიზნები, შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არაფორმალური განათლებას, როგორიცაა პროექტებით სწავლება და სასკოლო და კლასგარეშე აქტივობები. კურიკულუმის შექმნა ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ საგნმანათლებლო პარადიგმას. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას.

როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექტურად. რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში.

გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავალებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედეგები სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

სკოლას მიეცა რჩევა:

კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი. ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. როგორც სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. კურიკულუმის თემების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, სადაც გაზიარებულ იქნა გასული წლების გამოცდილება და პრაქტიკა. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სასკოლო გეგმაში, პედ. საბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. კათედრების მიერ გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მოსწავლეების განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ფორმალური და არაფორმალური კომპონენტების გამოყენებით თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. ინტერვიურებისას ასევე დადასტურდა, რომ მასწავლებლები მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, მიღწევის დონეს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები კლასის მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს დამტკიცებულ კურიკულუმებს; ასევე, სკოლა იყენებს teams-ის პლატფორმას და სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები უზიარებენ მშობლებს დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს.
ინტერვიუზე აღინიშნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წლის განმავლობაში ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირების მიზნით. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგალითად, უცხოური ენების საფეხურის კურიკულუმი, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგების მიერ ურთიერთთანამშრომლობით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითადად სრულად ფარავს ყველა სავალდებულო თემას, სწორად არის ასახული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართებები, გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს ძირითადად ორი სავალდებულო თემიდან კომპლექსური დავალების განხორციელება იგეგმება მხოლოდ ერთ თემაში, ჩარჩოში ასახულია შერჩეული კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ- მაგალითი. ხოლო მეორე თემაში გაწერილია მხოლოდ საკითხი/საკითხთა კლასტერი, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით.
რიგ შემთხვევებში არაა წარმოდგენილი თემატური მატრიცები კომპლექსური დავალებებით, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვემსჯელა, თუ რამდენად ორიენტირებული არიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები კონსტრუქტივისტული

პრინციპების სასწავლო პროცესში გამოყენებასა და დიფერენცირებულ მიდგომებზე, სკოლას მიეცა რჩევა წარმოედგინათ თემატური მატრიცები კომპლექსურ დავალებებთან ერთად. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. კათედრებს შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის აქვთ კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება. ასაკის შესაბამისად, მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ისინი არიან შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. მაგ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. ასევე სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები და ქვესაკითხები, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები.

კომპლექსური დავალებების იდეები შერჩეულია ისე, რომ შესაბამისი კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს განუვითარდეთ ფუნქციურ-კოგნიტური უნარები, რაც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებელს წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს უწევთ ჩართვა კომუნიკაციაში, შემოქმედებითად უდგებიან პრობლემის დაძლევის გზებს, აზროვნებენ კრიტიკულად, მუშაობენ დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად, ჯგუფურად და უვითარდებათ გუნდური მუშაობის პრინციპები, ისმენენ სხვების აზრს და სწავლობენ სხვისი აზრის პატივისცემას, უმუშავდებათ რეფლექსიის და თვითშეფასების უნარები, რაც ეხმარება მათ პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რის გააქტიურებას, გაცნობიერებას, ჩვევად ქცევას, გააზრებულობას და სრულყოფას უწყობს ხელს სწავლისადმი ასეთი მიდგომა. მოსწავლეები ახალ ცოდნას ეუფლებიან კონსტრუქტივისტული პრინციპით წინარე ცოდნაზე და ცოდნის სამივე კატეგორიაზე დაყრდნობთ;მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე). როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება.

სკოლას მიეცა რჩევა: სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების დამატება. საგნობრივ კურიკულუმში დამუშავდეს/გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა და მიეთითოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა გრძელვადიანი მიზანი (სამიზნე ცნებები), ქვეცნებები და რესურსები. ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის მწირი გამოცდილება, ვინაიდან სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა გარკვეულწილად მიიღეს ამის გამოცდილება ქოუჩინგის პროცესიდან გამომდინარე. ეს გამოცდილება ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, სასწავლო პროცესში გამოიყენება ლაბორატორიული პრაქტიკუმებიც(თუმცა ლაბორატორიაში მწირია რესურსები), უსაფრთხო საშინაო ცდები, ვიდეო მასალები ცდების ჩვენებით, სხვადასხვა ცხრილები, ტაბულები და სხვადასხვა პლატფორმის ონლაინ რესურსები, სადაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები იძლევა სასწავლო პროცესის ინკლუზიურად განხილვის საშუალებას;
საგნობრივ კათედრებს აქვთ პრაქტიკა შეიმუშაოს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოსწავლეთა საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგენილია მულტიდისციპლინური გუნდის მიერ; **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათ აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის პრაქტიკა (ჩატარებული ქოუჩინგი), განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისა და მეთოდიკური ორიენტირებისკენ, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დგინდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმების შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში; განმავითარებელი შეფასების რუბრიკით კი დგინდება მოსწავლის განვითარების დინამიკა და მოლოდინები.
სკოლა გეგმავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შექმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ყველა თემის ფარგლებში საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ- მაგალითთან მიმართებაში, რაც აისახება ქოუჩინგის ფორმატში შექმნილ შემაჯამებელ დოკუმენტებში. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; განსაზღვრულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ გამოყენებულ დოკუმენტებს, ინსტრუმენტებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე

გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგრომასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კათედრებზე აანალიზებენ და ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რადგან კათედრის სხდომებზე ხდება შემაჯამებელ დავალებათა შედეგების გაანალიზება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად მოხდება არსებული კურიკულუმების განახლება, შემუშავება და დანერგვა წინა წლის გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით, რაც ასევე დაფიქსირებულია სასწავლო მიზნებში(დანართი 12);

სკოლას მიეცა რჩევა:

- **ჩაატაროს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე და შედეგები ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;**
- **გაანალიზდეს მასწავლებელთა თვითრეფლექსია კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდგომ და აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;**
- **სკოლამ წარმოადგინოს კათედრის სხდომის ოქმი, სადაც ასახულია შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო საბაზო საფეხურზე
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ რეგულაციები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული

სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლებს შესთავაზებენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდაგვარდ შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმები იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია და გასაქანი მისცეს მის შემოქმედებით აზროვნებას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში, ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, რომლებშიც მოსწავლეა ცენტრალური სუბიექტი. თავად მოსწავლე გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით - წერილობით, კომიქსებითა და ილუსტრაციების საშუალებით, ერთვება დისკუსიებში. მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდის მიზნით კათედრის წევრები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებსა და კოგნიტურ სქემებს. საბაზო საფეხურის თითოეული კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გვხვდება კომპლექსური ბუნების იმგვარი დავალებები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კურიკულუმებში სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, თვითშეფასების სქემები, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას. კერძოდ, სკოლაში უცხო ენის კათედრის ინიციატივით მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა.

სკოლას მიეცა რჩევა:

საბაზო საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების

თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. საბაზო საფეხურზე დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კათედრები იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს და კითხვარებს იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. როგორც პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, იყენებენ და მომავალ სასწავლო წელსაც აუცილებლად გამოიყენებენ „მოსწავლის თვითშეფასებას“, რომელიც ხელს შეუწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, სადაც მოსწავლე ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის გაანალიზებას ,რის შედეგადაც მოსწავლეს უვითარდება თვითეფექტურობის განცდა და ხდება თავდაჯერებული. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მიმდინარე წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება. მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. მიმდინარე წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანებს , რომ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, საჭირო გახდება როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში პრიორიტეტულია პროექტებით სწავლება. მაგალითად, მე-8 კლასში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში განხორციელდა პროექტი „ხელნაწერების კვალდაკვალ“, ინგლისურ ენაში, ასევე მე-8 კლასში,

პროექტი „გენდერი და თამაშები“. ეს პროექტი ამავდროულად მედიაწიგნიერების უნარების განვითარებაზეც იყო ორიენტირებული. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო;
- მე-8 კლასის პროექტი, მასალები, სახელმწიფო ენა;
- პროექტები, კომპლექსური დავალება ;
- მე-7 კლასის კომპლექსური დავალება;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, მასწავლებები აქტიურად ახორციელებდნენ სკოლის სახელმძღვანელოში მოცემულ კომპლექსურ დავალებებს და თავადაც ქმნიდნენ. სკოლას აქვს მაღალი მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.**ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მიღებული ცოდნა იყოს ფუნქციური და ხელი შეუწყოს მის პიროვნულ განვითარებას. ასეთი დავალებების შექმნის მიზნით საგნობრივი კათედრების მუშაობა და ინტეგრირებული სწავლის სტრატეგია მიაჩნიათ ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. კომპლექსური ბუნების დავალებებთან ერთად, ასევე დიდი როლი შეიძლება შეასრულოს პროექტულმა სწავლებამ, სადაც ყველაზე ეფექტურად ხდება ცოდნის ტრანსფერი. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის იგეგმება და ხორციელდება სასკოლო აქტივობები. თითოეული მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანობა და გარემო ურთიერთობები, რომელიც გულისხმობს თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერებისა და პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, რომელიც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს. სკოლა გეგმავს ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა ექსკურსია, ლაშქრობა, სასკოლო ღონისძიებები სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების სქემები (დისკუსიის, ზეპირმეტყველების, ინფორმაციის მოძიება, ექსპერიმენტის , პროექტის რეფერატის, პრეზენტაციის, მოსწავლის თვითშეფასების, უცხოური ენის, ქართულ ენისა და ლიტერატურის წერითი შემაჯამებელი დავალების, მათემატიკის წერითი შემაჯამებელი დავალების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი დავალების, ტექსტური ამოცანა, რომლის ამოხსნა მოითხოვს განტოლების შედგენას და ამოხსნას, გაკვეთილზე ჩართულობის, ტესტირების) რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. ამ ეტაპზე სკოლაში იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ძირითადად შემოიფარგლება მასწავლებელების მიერ მიცემული სიტყვიერი კომენტარებით. ასევე რიგ შემთხვევებში კომპლექსური დავალებები ფასდება სოლო ტაქსონიმიიით. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონიმიის შესაბამისად და მასწავლებელი ხედავს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს ასევე განავითარებელ რეკომენდაციებს. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობოთი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ როგორც დავალების მიმდინარეობისას, ასევე შეჯამების პროცესში. განმავითარებელი შეფასება მოიცავს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და ხელს უწყობს მისი განვითარების პროცესს. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. მასწავლებელთა ინტერვიურების თანახმად, იგეგმება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები(რუბრიკები), რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია სწორედ საგნობრივი შედეგების შესაბამისად. ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე თანამშრომლობით მუშავდება და ერთმანეთთან თანხმდება შეფასების რუბრიკები, მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, გამოკრულია კლასში თავლსაჩინო ადგილას. რიგ შემთხვევებში მოსწავლეებთან ერთად იქმნება შეფასების კრიტერიუმები. სადიაგნოსტიკო წერის გამოცდილება სკოლას არა აქვს, თუმცა მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შეირჩა ,,საკლასო წერა“. დიაგნოსტირება 2023-2024 სასწავლო წელს

ჩატარდება ორჯერ ხოლო მონაცემები დამუშავდება ყოველი პირველი მოსწავლის საფუძველზე. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი, რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებსთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ ჰქონდათ, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიაზრებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ამასთანავე, არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს ,,საკლასო წერა“
მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- სკოლის თვითშეფასება
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანებები და ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან გასაუბრების და მტკიცებულებების გაცნობა/შესწავლის შედეგად ნამდვილად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში და მასწავლებლებს არ გაუვლიათ ქოუჩინგის ფორმატში მიმდინარე შეხვედრები, მასწავლებლები მუდმივად ესწრებიან ვებინარებს ან ისმენენ ჩანაწერებს, უზიარებენ სიახლეებს ერთმანეთს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მათ კარგად აქვთ გააზრებული თითოეული მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია(42 მოსწავლე), შესაბამისად ყველა მასწავლებელი (17 მასწავლებელი) ცდილობს ფოკუსირებული იყოს მოსწავლეთა მხარდაჭერაზე, გამოავლინოს მათი ინტერესები, საჭიროებები და ეს მნიშვნელოვანი ნიუანსები გაითვალისწინოს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას. მართალია 2023-24 სასწავლო წელი პირველი წელია, როდესაც სკოლამ შეიმუშავა საგნობრივ კურიკულუმებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი(მესამე თაობის ესგ), მაგრამ კათედრებს კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები, რაც უპირველეს ყოვლისა შედეგების გაუმჯობესებას და მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენას უნდა ემსახურებოდეს. ასევე სასწავლო წლის განმავლობაში სკოლას დაგეგმილი აქვს პროექტების განხორციელება, სადაც რამდენიმე საგნობრივი კათედრა გაერთიანდება და მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ ცოდნის ტრანსფერისა და ურთიერთდაკავშირების შედეგად გაიაზრონ, როგორც საგანთა შორის კავშირი, ასევე კავშირი საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. აღნიშნულ

პროექტებში სინქრონულად მუშავდება საგნობრივი გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მაკროცნებები და ფუნქციური უნარები, რაც სკოლის მიერ შემუშავებული პროექტების მიზნობრივ ორიენტირებს წარმოადგენს და მოსწავლეებს ამა თუ იმ საკითხის მრავალკომპონენტურად და სიღმისეულად გააზრებაში უწყობს ხელს. სასკოლო კურიკულუმის თანახმად სკოლას დაგეგმილი აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებების განხორციელება პირველ და მეორე სემესტრში (მესამე ინსტრუმენტი). დიაგნოსტირებამ უნდა გამოავლინოს რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს, რა ცვლილებებს განახორციელება იქნება საჭირო, რა ფაქტორებზე დაყრდნობით დაიგეგმება ინტერვენციული ნაბიჯები, ცხადია ამ სურათს მოსწავლეთა რეფლექსიით მიღებული მონაცემთა ანალიზირება გამოავლენს. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები მკაფიოდ განსაზღვრავს როგორი მოქალაქის აღზრდას ისახავს სკოლა მიზნად და რა უნარების განვითარებას ემსახურება სასწავლო პროცესი. სკოლაში ყველანაირი ხელშემწყობი ფაქტორი(მატერიალური, ტექნიკური, ფსიქოლოგიური, მორალური) არსებობს იმისთვის, რომ მოსწავლე სრულფასოვნად იყოს სასკოლო ცხოვრებაში ჩართული და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. კათედრები რეგულარულად აწარმოებენ შემაჯამებელი სამუშაობების ანალიზს და შედეგებიდან გამომდინარე გამოკვეთენ მოსწავლეზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ მიდგომებს. შეიმუშავებენ დიფერენცირებულ დავალებებს, შეფასების სქემებს, რომელთაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. მასწავლებლების ხელშეწყობით მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის მართვაში, რაც პოზიტიური სასწავლო გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამ კუთხით თვალნათლივ გამოჩნდა მეგობრული, თბილი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა სასკოლო თემის წარმომადგენლებს შორის. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით საქმიანობაში, მათი ინიციატივები წახალისებულია და მხარდაჭერილია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შერჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, კარგად ხედავს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას, რაც საშუალებას მისცემთ სასწავლო პროცესს უფრო სიღმისეულად დააკვირდნენ და სიტყვიერი თუ წერილობითი კომენტარით მყისიერად მოახდინონ რეაგირება მოსწავლეთა მიღწევებზე. იმისთვის, რომ, თემები/ქვეთები/საკითხები სიღმისეულად იქნეს შესწავლილი კათედრებს დამტკიცებული რესურსების გარდა, მომზადებული აქვთ დამატებითი დამხმარე მასალები და პრეზენტაციები, მათი მიზანია მოსწავლეებს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით საგნობრივი სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაში დახმარება. ამგვარად მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებისა და მეთოდური სტრატეგიების გამოყენებით მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის ხელშეწყობას და სწავლა-სწავლებისას მათი ავტონომიურობის მაჩვენებლის ზრდას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის წრეები, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით შეისწავლონ/გაიღრმავონ/განივითარონ ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების გეგმა. SWOT ანალიზის საფუძველზე გაცნობიერებული აქვს ძლიერი, სუსტი და გასავითარებელი მხარეები. იცის როგორ და რა მიზნებზე დაყრდნობით გააუმჯობესოს სასწავლო პროცესი. მოწოდებული მასალების გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო საგანმანათლებლო სიახლეების დანერგვისა და პროფესიული განვითარებისკენ მისწრაფება. სკოლაში არსებობს მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რაც კოლეგებს შორის სიახლეების გაზიარებით, ტუტორის საქმიანობით, საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებით, მიღებული შედეგების ანალიზირებითა და სამომავლო შედეგებზე ორიენტირებული ნაბიჯების დაგეგმვით ვლინდება. როგორც საუბრებში აღნიშნეს მასწავლებლებმა მათი ყოველი სამუშაო დღე ეს არის ერთი დიდი, გაერთიანებული კათედრის შეხვედრა, სადაც განიხილავენ, როგორც შიდა სასკოლო პროცესებს, ასევე პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებულ სიახლეებს. სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა მიუხედავად ამისა, გასულ სასწავლო წელს კათედრები დამოუკიდებლად შეეცადნენ დაენერგათ კომპლექსური დავალებები. მათთვის საინტერესო იყო დაკვირვებოდნენ დანერგვის პროცესს და მიღებული შედეგების საფუძველზე გაეკეთებინათ პირველადი დასკვნები. აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალების პირობები დამოუკიდებლად შექმნეს, მათ არ გამოუყენებიათ სანიმუშო ვერსიები. დღევანდელი გადმოსახედიდან ცხადია, მკაფიოდ ხედავენ გამოვლენილ ხარვეზებს, მაგრამ მიიღეს დიდი გამოცდილება და ნათლად აქვთ გათავისებული, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულმა კურიკულუმმა შესაძლოა სამუშაო პროცესში განიცადოს გარკვეული ცვლილებები. აქვე ისიც, უნდა ითქვას, რომ არსებობს მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა მშობლებთან. მასწავლებლები მათ უზიარებენ კომპლექსური დავალებების ბარათებს, პერიოდულად წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ხდება მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის გააანალიზება და შედეგების გათვალისწინება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით. სასკოლო თემის მჭიდრო და კოლეგიალური ურთიერთობა საფუძველს უყრის საუკეთესო გამოცდილებების დაგროვებას (კომპლექსური დავალება, პროექტი, აქტივობა, გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა), რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლა თანდათან ყალიბდება ინსტიტუციურ დაწესებულებად, რომელსაც ექნება საკუთარ საჭიროებებზე მორგებული უნიკალური სასკოლო კურიკულუმი. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა იყენებს საკლასო კომპლექტაციებს, რაც თავისთავად ნიშნავს სხვადასხვა განვითარების, შესაძლებლობების, უნარების მოსწავლეთა გარკვეული პერიოდით ერთ სასწავლო გარემოში გაერთიანებას. ასეთ ვითარებაში ინკლუზიურ სწავლებასა და დიფერენცირებულ მიდგომას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რაც სასკოლო საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული და ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ შექმნან უსაფრთხო, მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სააღმზრდელო და სამუშაო საქმიანობის ისეთ ღირებულებებზე დაფუძნება, როგორიც არის: მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, შესაბამისად ეს ფაქტორები კარგად ჩანს, როგორც კოლეგების ურთიერთდამოკიდებულებაში, ასევე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობებში. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია, როგორც კომფორტული ფიზიკური გარემო, ასევე მოსწავლეების ინტელექტუალური და სოციალური უსაფრთხოება/ხელშეწყობა:

სკოლის შენობის რეაბილიტაციის შედეგად მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, ინტერნეტით, მუსიკალური ცენტრით, პროექტორით, სპორტული მოედნით. არსებობს საკმარისი ადგილი იმისთვის, რომ მოეწყოს ნამუშევრების საგამოფენო ჩვენებები. კლასების ფართი იძლევა გაკვეთილის სხვადასხვა ფორმით ორგანიზების შესაძლებლობას(მერხების წრიული განლაგება, დაჯგუფება, კედლების გასწვრივ განლაგება და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ სასკოლო ფიზიკური გარემოს მოწყობაში თავად მოსწავლეები არიან ჩართულნი, მაგალითად: სასწავლო-შემეცნებითი პოსტერების, საკუთარი მხატვრული ნამუშევრების და რეპროდუქციების გამოფენა საკლასო სივრცეში და სკოლის ფოიეში.

საჭიროებიდან გამომდინარე (არაფორმალური სწავლება, მშობლებთან შეხვედრა, მოსწავლესთან ინდივიდუალური შეხვედრა, დავალებების ატვირთვა, ნამუშევრების გაგზავნა და ა.შ.) სკოლა ეფექტურად იყენებს თიმსის პლატფორმას.

სკოლას აქვს ყველანაირი ხელშემწყობი პირობა იმისთვის, რომ სსსმ მოსწავლე მარტივად ადაპტირდეს სასწავლო და ფიზიკურ გარემოში და შეძლებისგადვარად აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

მასწავლებლები ინტერესდებიან მოსწავლეთა სასწავლო პრობლემებით და იკვლევენ მათ ემოციურ, სოციალურ და აკადემიურ საჭიროებებს. ინდივიდუალურად, დიფერენცირებულად, შემოქმედებითად უდგებიან თითოეულ მოსწავლეს, ხშირად მიმართავენ მათთან დილოგს და სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს.

გარდა სასკოლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების სისტემისა, მასწავლებლები იყენებენ არაფორმალური შეფასების ინსტრუმენტებსაც, როგორიცაა სიტყვიერი პოზიტიური კრიტიკა და პოზიტიური კომენტარი. ცდილობენ, მოსწავლეებს მცირე ასაკიდან განუვითარონ ჯანსაღი თვითშეფასების უნარი და შესაბამისად თვითრეფლექსია და პასუხისმგებლობა აქციონ მათივე წარმატება/წარუმატებლობის მთავარ საზომად.

სასწავლო მიზნების და შედეგობრივი მაჩვენებლების დასადგენად მასწავლებლები ძირითადად იყენებენ საგნობრივ სტანდარტებში მოცემულ შეფასების რუბრიკებს, მაგრამ შედეგების ანალიზის საფუძველზე პერიოდულად შეიმუშავებენ კონკრეტულ საჭიროებებზე ფოკუსირებულ რუბრიკებსაც, რაც სასწავლო პროცესში იდენტიფიცირებული გარკვეული პრობლემის/ების აღმოფხვრას ან/და რაიმე საკითხის სიღმისეულ გააზრებას ემსახურება.

სკოლაში მომუშავე მასწავლებლები სხვადასხვა ტრენინგებში, ვებინარებში და პროფესიული ხასიათი სასწავლო მოდულებში აქტიურად არიან ჩართულები. ამის მაჩვენებელია სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვა და მოსწავლეებში ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნებისა და ტრანსფერული უნარების გასავითარებელი სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება.

სასკოლო გარემოში დიდი ყურადღება ექცევა თვითრეგულირებადი ქცევის კულტურის ჩამოყალიბებას, რაც მიიღწევა კარგად დაგეგმილი გაკვეთილის, ორგანიზებული გარემოს და მოსწავლეთა ინიციატივის წახალისების ხარჯზე. კომპლექტაციით წარმოდგენილ კლასებში მოსწავლეებისთვის მკაფიოა გაკვეთილზე შესასრულებელი დავალების, აქტივობის, სამუშაოს დეტალები. ყველა მოსწავლე თავისი საქმითაა დაკავებული. შესაძლებლობა ეძლევათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება და გამოავლინონ ლიდერული უნარები.

სკოლა ხშირად ახორციელებს სასკოლო პროექტებს, სადაც გავალისწინებულია მოსწავლეების არჩევანი და შეხედულებები. ნებისმიერი ღონისძიების დაგეგმვის დროს მასწავლებლების მხრიდან ხელშეწყობილია მათი ინიციატივების და

პასუხისმგებლობების წახალისება, მაგალითად: მონაწილეობა ექსკურსიის მარშრუტის დადგენა/დაგეგმვაში, უმცროსკლასელთა დახმარება, სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება. შესაბამისად **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მასწავლებელთა თვითშფასების კითხვარები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის და კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს. მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). მონიტორინგს და შეფასებას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას მონიტორინგის განხორციელების გარკვეული გამოცდილება აქვს. წინა სასწავლო წელს ჩატარდა კვლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი საჭირობების დადგენის მიზნით. სკოლა აცნობიერებს, რომ ეს კვლევა არ არის საკმარისი ობიექტური სურათის შესაქმნელად და ამ მიმართულებით ეტაპობრივად გააუმჯობესებს მეთოდოლოგიას. სკოლაში ხორციელდება ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებისთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა. დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ფასდებიან მოსწავლეები ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კონკრეტულად მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შედეგები, ან მისი მეთოდოლოგია. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, სამომავლოდ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად და უფრო სისტემურ ხასიათს მიიღებს. **ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებს და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმებს ასევე მითითებულია, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და

გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). სასკოლო კურიკულუმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავებულია სწავლა სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. სკოლაში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები, როგორიც არის მაგალითად კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, ზოგ შემთხვევაში მოსწავლეთა მხრიდან ნაკლები ინტერესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს დავალების წარდგენისა და განხორციელების ეტაპებზე გამოვლენილი ხარვეზები და რაც მთავრია დროის მენეჯმენტის სერიოზული პრობლემა. ყველა საგნობრივ კათედრაზე შედგა გამოკითხვის შედეგების განხილვა დირექციის ჩართულობით. გამოიკვეთა არსებითი ხარვეზები და გაიმართა მსჯელობა, როგორ შეიძლება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. აქედან გამომდინარე, დგინდება რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიდან დგინდება, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესებზე დაკვირვების და კათედრებზე ურთიერთანამშრომლობის შედეგად მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. მოსწავლეების შედეგების ანალიზი ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. დირექციის წარმომადგენლები, პერიოდულად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ საგნობრივ კურიკულუმებს. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა.

სკოლას მიეცა რჩევა:

შეიქმნას და დაიხვეწოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის განსაზღვრული აქტივობების შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12;)
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- ხარისხის მართვის მექანიზმი;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შემდგომ წინსვლაში. მიმდინარე სასწავლო წლიდან გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების განხორციელებას. სკოლას ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და მათზე დაყრდნობით შეფასების შემუშავების პროცესშია. ამჟამად, სკოლას ჰყავს ინდივიდუალური საჭიროების მოსწავლეები დაწყებით და საშუალო საფეხურზე. სკოლა შეფასების სისტემებს ქმნის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალიწინებით.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია აჩვენებს, რომ სკოლაში მასწავლებელები აკეთებენ ჩანაწერებს და შემდეგ კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავებენ მატრიცებს. კოლეგების მიერ ხორციელდება თემატური მატრიცების ერთობლივი განხილვა. სკოლაში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების მეთოდსაც.

სასკოლო გეგმის თანახმად, სკოლა მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასრულებამდე 2 კვირით ადრე აპირებს ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები. დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.
სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოიყენებს მრავალფეროვან დავალებებს. შეფასებისას გაითვლალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს, დროს, გარემოს, წინასწარ ინფორმირების ხარისხს და ა.შ. შეფასება ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვლობას. გათვალიწინებულია სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები.
შეფასების სისტემის ვერიფიკაციას უზრუნველყოფს საგობრივი კათედრები, დირექტორის მიერ შექმნილი კომისია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს.გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასებისას კათედრების წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე და გასაუბრებებზე დაყრდნობით დოკუმენტის განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებას. სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოიყენებს მრავალფეროვან დავალებებს. შეფასებისას გაითვლალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს, დროს, გარემოს, წინასწარ ინფორმირების ხარისხს. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა იყენებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების, შედეგების ანალიზის მეთოდებს. მიმდინარე წელს განახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს. სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებისა და ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერებას. სკოლა გეგმავს სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოყენებს მრავალფეროვან დავალებებს, როგორებიცაა: პრეზენტაციები, კომპლექსური დავალებები, დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პროექტი, რეფერატი **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. მიმდინარე წლის სასწავლო გეგმით გათვალიწინებულია შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალიწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმები, რომელშიც გათვალიწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, პროგრესი, საკლასო გარემო, სასწავლო რესურსები, მოწავლის ინტერესები, შესაძლებლობები და ა.შ.
სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებლების თვითშეფასების დოკუმენტი, რომელშიც ნაჩვენებია პროფესიული განვითარებისკენ სწრაფვა, სასწავლო პროცესის ანალიზისა და დაგეგმვის უნარები. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგია.
- სკოლის თვითშეფასება.
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3 იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

4 კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდა განვლილი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, ამასთან ერთად სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას კონსულტაციებს გადის საგნობრივი ექსპერტებთან და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერ ჯგუფთან, ამ მონაცემების შეჯერების და რეკომენდაციების საფუძველზე სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; რომლის რეკომენდაციებიც ჩაიშლება მიმდინარე სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია სკოლის კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. **ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებულია კურიკულუმის რევიზიის პროცესში, რომლებიც ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, რამდენად მიზნობრივად შესრულდა კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და როგორ აისახა იგი მოსწავლის შედეგებზე. მიღებული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება ახალ სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ამის შედეგად სკოლის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის რევიზირებული კურიკულუმები, ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს. **ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასება
- საგნობრივი კურიკულუმები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად დგინდება რომ კათედრაზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო ამავე კათედრის თითოეული პედაგოგი. მათ ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადების მიერ და დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტებზე. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე მათ წარმოადგინეს თავიანთი ინდივიდუალური ხედვა, განსაზღვრულ იქნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები და მასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა მოკლევადიანი მიზნები, შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არაფორმალური განათლებას, როგორიცაა პროექტებით სწავლება და სასკოლო და კლასგარეშე აქტივობები. კურიკულუმის შექმნა ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ საგნმანათლებლო პარადიგმას. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას.

როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექტურად. რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში.

გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავალებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედეგები სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

სკოლას მიეცა რჩევა:

კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი. ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. როგორც სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. კურიკულუმის თემების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, სადაც გაზიარებულ იქნა გასული წლების გამოცდილება და პრაქტიკა. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სასკოლო გეგმაში, პედ. საბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. კათედრების მიერ გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მოსწავლეების განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ფორმალური და არაფორმალური კომპონენტების გამოყენებით თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. ინტერვიურებისას ასევე დადასტურდა, რომ მასწავლებლები მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, მიღწევის დონეს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები კლასის მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს დამტკიცებულ კურიკულუმებს; ასევე, სკოლა იყენებს teams-ის პლატფორმას და სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები უზიარებენ მშობლებს დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს.
ინტერვიუზე აღინიშნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წლის განმავლობაში ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირების მიზნით. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგალითად, უცხოური ენების საფეხურის კურიკულუმი, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგების მიერ ურთიერთთანამშრომლობით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითადად სრულად ფარავს ყველა სავალდებულო თემას. სწორად არის ასახული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართებები, გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს ძირითადად ორი სავალდებულო თემიდან კომპლექსური დავალების განხორციელება იგეგმება მხოლოდ ერთ თემაში, ჩარჩოში ასახულია შერჩეული კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ- მაგალითი. ხოლო მეორე თემაში გაწერილია მხოლოდ საკითხი/საკითხთა კლასტერი, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით.
რიგ შემთხვევებში არაა წარმოდგენილი თემატური მატრიცები კომპლექსური დავალებებით, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვემსჯელა, თუ რამდენად ორიენტირებული არიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები კონსტრუქტივისტული

პრინციპების სასწავლო პროცესში გამოყენებასა და დიფერენცირებულ მიდგომებზე, სკოლას მიეცა რჩევა წარმოედგინათ თემატური მატრიცები კომპლექსურ დავალებებთან ერთად. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. კათედრებს შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის აქვთ კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება. ასაკის შესაბამისად, მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ისინი არიან შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. მაგ.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. ასევე სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები და ქვესაკითხები, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები.
კომპლექსური დავალებების იდეები შერჩეულია ისე, რომ შესაბამისი კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს განუვითარდეთ ფუნქციურ-კოგნიტური უნარები, რაც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებელს წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს უწევთ ჩართვა კომუნიკაციაში, შემოქმედებითად უდგებიან პრობლემის დაძლევის გზებს, აზროვნებენ კრიტიკულად, მუშაობენ დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად, ჯგუფურად და უვითარდებათ გუნდური მუშაობის პრინციპები, ისმენენ სხვების აზრს და სწავლობენ სხვისი აზრის პატივისცემას, უმუშავდებათ რეფლექსიის და თვითშეფასების უნარები, რაც ეხმარება მათ პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რის გააქტიურებას, გაცნობიერებას, ჩვევად ქცევას, გააზრებულობას და სრულყოფას უწყობს ხელს სწავლისადმი ასეთი მიდგომა. მოსწავლეები ახალ ცოდნას ეუფლებიან კონსტრუქტივისტული პრინციპით წინარე ცოდნაზე და ცოდნის სამივე კატეგორიაზე დაყრდნობთ;მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე). როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება.
სკოლას მიეცა რჩევა: სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების დამატება. საგნობრივ კურიკულუმში დამუშავდეს/გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა და მიეთითოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა გრძელვადიანი მიზანი (სამიზნე ცნებები), ქვეცნებები და რესურსები. ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის მწირი გამოცდილება, ვინაიდან სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა გარკვეულწილად მიიღეს ამის გამოცდილება ქოუჩინგის პროცესიდან გამომდინარე. ეს გამოცდილება ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, სასწავლო პროცესში გამოიყენება ლაბორატორიული პრაქტიკუმებიც(თუმცა ლაბორატორიაში მწირია რესურსები), უსაფრთხო საშინაო ცდები, ვიდეო მასალები ცდების ჩვენებით, სხვადასხვა ცხრილები, ტაბულები და სხვადასხვა პლატფორმის ონლაინ რესურსები, სადაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები იძლევა სასწავლო პროცესის ინკლუზიურად განხილვის საშუალებას;
საგნობრივ კათედრებს აქვთ პრაქტიკა შეიმუშაოს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოსწავლეთა საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგენილია მულტიდისციპლინური გუნდის მიერ; **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათ აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის პრაქტიკა (ჩატარებული ქოუჩინგი), განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისა და მეთოდიკური ორიენტირებისკენ, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დგინდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმების შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში; განმავითარებელი შეფასების რუბრიკით კი დგინდება მოსწავლის განვითარების დინამიკა და მოლოდინები.
სკოლა გეგმავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შექმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ყველა თემის ფარგლებში საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ- მაგალითთან მიმართებაში, რაც აისახება ქოუჩინგის ფორმატში შექმნილ შემაჯამებელ დოკუმენტებში. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; განსაზღვრულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ გამოყენებულ დოკუმენტებს, ინსტრუმენტებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე

გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგრომასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კათედრებზე აანალიზებენ და ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რადგან კათედრის სხდომებზე ხდება შემაჯამებელ დავალებათა შედეგების გაანალიზება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად მოხდება არსებული კურიკულუმების განახლება, შემუშავება და დანერგვა წინა წლის გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით, რაც ასევე დაფიქსირებულია სასწავლო მიზნებში(დანართი 12);

სკოლას მიეცა რჩევა:

- **ჩაატაროს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე და შედეგები ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;**
- **გაანალიზდეს მასწავლებელთა თვითრეფლექსია კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდგომ და აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში;**
- **სკოლამ წარმოადგინოს კათედრის სხდომის ოქმი, სადაც ასახულია შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;. ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო საბაზო საფეხურზე
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ რეგულაციები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული

სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლებს შესთავაზებენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდაგვარდ შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმები იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია და გასაქანი მისცეს მის შემოქმედებით აზროვნებას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში, ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, რომლებშიც მოსწავლეა ცენტრალური სუბიექტი. თავად მოსწავლე გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით - წერილობით, კომიქსებითა და ილუსტრაციების საშუალებით, ერთვება დისკუსიებში. მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდის მიზნით კათედრის წევრები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებსა და კოგნიტურ სქემებს. საშუალო საფეხურის თითოეული კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გვხვდება კომპლექსური ბუნების იმგვარი დავალებები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კურიკულუმებში სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, თვითშეფასების სქემები, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას. კერძოდ, სკოლაში უცხო ენის კათედრის ინიციატივით მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა.

სკოლას მიეცა რჩევა:

საშუალო საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების

თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. საშუალო საფეხურზე დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კათედრები იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს და კითხვარებს იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. როგორც პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, იყენებენ და მომავალ სასწავლო წელსაც აუცილებლად გამოიყენებენ „მოსწავლის თვითშეფასებას“, რომელიც ხელს შეუწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, სადაც მოსწავლე ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის გაანალიზებას ,რის შედეგადაც მოსწავლეს უვითარდება თვითეფექტურობის განცდა და ხდება თავდაჯერებული. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მიმდინარე წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება. მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. მიმდინარე წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანებს , რომ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, საჭირო გახდება როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში პრიორიტეტულია პროექტებით სწავლება. მაგალითად, ინგლისურ ენაში, მე-

10 კლასში, განხორციელდა პროექტი „ძველი ინგლისური ენის ისტორია“, საზოგადოებრივ მეცნიერებებში -პროექტი „არა გამოვუცხდოთ ბულინგს“ და ა. შ. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო;
- პროექტები, კომპლექსური დავალება ;
- კომპლექსური დავალებები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, მასწავლებები აქტიურად ახორციელებდნენ სკოლის სახელმძღვანელოში მოცემულ კომპლექსურ დავალებებს და თავადაც ქმნიდნენ. სკოლას აქვს მაღალი მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.**ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მიღებული ცოდნა იყოს ფუნქციური და ხელი შეუწყოს მის პიროვნულ განვითარებას. ასეთი დავალებების შექმნის მიზნით საგნობრივი კათედრების მუშაობა და ინტეგრირებული სწავლის სტრატეგია მიაჩნიათ ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. კომპლექსური ბუნების დავალებებთან ერთად, ასევე დიდი როლი შეიძლება შეასრულოს პროექტულმა სწავლებამ, სადაც ყველაზე ეფექტურად ხდება ცოდნის ტრანსფერი. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის იგეგმება და ხორციელდება სასკოლო აქტივობები. თითოეული მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანობა და გარემო ურთიერთობები, რომელიც გულისხმობს თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერებისა და პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, რომელიც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს. სკოლა გეგმავს ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა ექსკურსია, ლაშქრობა, სასკოლო ღონისძიებები სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების სქემები (დისკუსიის, ზეპირმეტყველების, ინფორმაციის მოძიება, ექსპერიმენტის , პროექტის რეფერატის, პრეზენტაციის, მოსწავლის თვითშეფასების, უცხოური ენის, ქართულ ენისა და ლიტერატურის წერითი შემაჯამებელი დავალების, მათემატიკის წერითი შემაჯამებელი დავალების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი დავალების, ტექსტური ამოცანა, რომლის ამოხსნა მოითხოვს განტოლების შედგენას და ამოხსნას, გაკვეთილზე ჩართულობის, ტესტირების) რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. ამ ეტაპზე სკოლაში იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ძირითადად შემოიფარგლება მასწავლებელების მიერ მიცემული სიტყვიერი კომენტარებით. ასევე რიგ შემთხვევებში კომპლექსური დავალებები ფასდება სოლო ტაქსონიმიიით. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონიმიის შესაბამისად და მასწავლებელი ხედავს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს ასევე განავითარებელ რეკომენდაციებს. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობოთი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ როგორც დავალების მიმდინარეობისას, ასევე შეჯამების პროცესში. განმავითარებელი შეფასება მოიცავს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და ხელს უწყობს მისი განვითარების პროცესს. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. მასწავლებელთა ინტერვიურების თანახმად, იგეგმება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები(რუბრიკები), რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია სწორედ საგნობრივი შედეგების შესაბამისად. ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე თანამშრომლობით მუშავდება და ერთმანეთთან თანხმდება შეფასების რუბრიკები, მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, გამოკრულია კლასში თავლსაჩინო ადგილას. რიგ შემთხვევებში მოსწავლეებთან ერთად იქმნება შეფასების კრიტერიუმები. სადიაგნოსტიკო წერის გამოცდილება სკოლას არა აქვს, თუმცა მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შეირჩა ,,საკლასო წერა“. დიაგნოსტირება 2023-2024 სასწავლო წელს

ჩატარდება ორჯერ ხოლო მონაცემები დამუშავდება ყოველი პირველი მოსწავლის საფუძველზე. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი, რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებსთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ ჰქონდათ, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიაზრებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ამასთანავე, არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს ,,საკლასო წერა“
მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- სკოლის თვითშეფასება
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანებები და ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან გასაუბრების და მტკიცებულებების გაცნობა/შესწავლის შედეგად ნამდვილად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში და მასწავლებლებს არ გაუვლიათ ქოუჩინგის ფორმატში მიმდინარე შეხვედრები, მასწავლებლები მუდმივად ესწრებიან ვებინარებს ან ისმენენ ჩანაწერებს, უზიარებენ სიახლეებს ერთმანეთს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მათ კარგად აქვთ გააზრებული თითოეული მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია(42 მოსწავლე), შესაბამისად ყველა მასწავლებელი (17 მასწავლებელი) ცდილობს ფოკუსირებული იყოს მოსწავლეთა მხარდაჭერაზე, გამოავლინოს მათი ინტერესები, საჭიროებები და ეს მნიშვნელოვანი ნიუანსები გაითვალისწინოს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას. მართალია 2023-24 სასწავლო წელი პირველი წელია, როდესაც სკოლამ შეიმუშავა საგნობრივ კურიკულუმებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი(მესამე თაობის ესგ), მაგრამ კათედრებს კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები, რაც უპირველეს ყოვლისა შედეგების გაუმჯობესებას და მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენას უნდა ემსახურებოდეს. ასევე სასწავლო წლის განმავლობაში სკოლას დაგეგმილი აქვს პროექტების განხორციელება, სადაც რამდენიმე საგნობრივი კათედრა გაერთიანდება და მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ ცოდნის ტრანსფერისა და ურთიერთდაკავშირების შედეგად გაიაზრონ, როგორც საგანთა შორის კავშირი, ასევე კავშირი საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. აღნიშნულ პროექტებში სინქრონულად მუშავდება საგნობრივი გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მაკროცნებები და ფუნქციური უნარები,

რაც სკოლის მიერ შემუშავებული პროექტების მიზნობრივ ორიენტირებს წარმოადგენს და მოსწავლეებს ამა თუ იმ საკითხის მრავალკომპონენტურად და სიღმისეულად გააზრებაში უწყობს ხელს. სასკოლო კურიკულუმის თანახმად სკოლას დაგეგმილი აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებების განხორციელება პირველ და მეორე სემესტრში (მესამე ინსტრუმენტი). დიაგნოსტირებამ უნდა გამოავლინოს რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს, რა ცვლილებებს განახორციელება იქნება საჭირო, რა ფაქტორებზე დაყრდნობით დაიგეგმება ინტერვენციული ნაბიჯები, ცხადია ამ სურათს მოსწავლეთა რეფლექსიით მიღებული მონაცემთა ანალიზირება გამოავლენს. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები მკაფიოდ განსაზღვრავს როგორი მოქალაქის აღზრდას ისახავს სკოლა მიზნად და რა უნარების განვითარებას ემსახურება სასწავლო პროცესი. სკოლაში ყველანაირი ხელშემწყობი ფაქტორი(მატერიალური, ტექნიკური, ფსიქოლოგიური, მორალური) არსებობს იმისთვის, რომ მოსწავლე სრულფასოვნად იყოს სასკოლო ცხოვრებაში ჩართული და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. კათედრები რეგულარულად აწარმოებენ შემაჯამებელი სამუშაობების ანალიზს და შედეგებიდან გამომდინარე გამოკვეთენ მოსწავლეზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ მიდგომებს. შეიმუშავებენ დიფერენცირებულ დავალებებს, შეფასების სქემებს, რომელთაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. მასწავლებლების ხელშეწყობით მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის მართვაში, რაც პოზიტიური სასწავლო გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამ კუთხით თვალნათლივ გამოჩნდა მეგობრული, თბილი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა სასკოლო თემის წარმომადგენლებს შორის. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით საქმიანობაში, მათი ინიციატივები წახალისებულია და მხარდაჭერილია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შერჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, კარგად ხედავს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას, რაც საშუალებას მისცემთ სასწავლო პროცესს უფრო სიღმისეულად დააკვირდნენ და სიტყვიერი თუ წერილობითი კომენტარით მყისიერად მოახდინონ რეაგირება მოსწავლეთა მიღწევებზე. იმისთვის, რომ, თემები/ქვეთები/საკითხები სიღმისეულად იქნეს შესწავლილი კათედრებს დამტკიცებული რესურსების გარდა, მომზადებული აქვთ დამატებითი დამხმარე მასალები და პრეზენტაციები, მათი მიზანია მოსწავლეებს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით საგნობრივი სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაში დახმარება. ამგვარად მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებისა და მეთოდური სტრატეგიების გამოყენებით მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის ხელშეწყობას და სწავლა-სწავლებისას მათი ავტონომიურობის მაჩვენებლის ზრდას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის წრეები, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით შეისწავლონ/გაიღრმავონ/განივითარონ ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების გეგმა. SWOT ანალიზის საფუძველზე გაცნობიერებული აქვს ძლიერი, სუსტი და გასავითარებელი მხარეები. იცის როგორ და რა მიზნებზე დაყრდნობით გააუმჯობესოს სასწავლო პროცესი. მოწოდებული მასალების გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო საგანმანათლებლო სიახლეების დანერგვისა და პროფესიული განვითარებისკენ მისწრაფება. სკოლაში არსებობს მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რაც კოლეგებს შორის სიახლეების გაზიარებით, ტუტორის საქმიანობით, საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებით, მიღებული შედეგების ანალიზირებითა და სამომავლო შედეგებზე ორიენტირებული ნაბიჯების დაგეგმვით ვლინდება. როგორც საუბრებში აღნიშნეს მასწავლებლებმა მათი ყოველი სამუშაო დღე ეს არის ერთი დიდი, გაერთიანებული კათედრის შეხვედრა, სადაც განიხილავენ, როგორც შიდა სასკოლო პროცესებს, ასევე პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებულ სიახლეებს. სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა მიუხედავად ამისა, გასულ სასწავლო წელს კათედრები დამოუკიდებლად შეეცადნენ დაენერგათ კომპლექსური დავალებები. მათთვის საინტერესო იყო დაკვირვებოდნენ დანერგვის პროცესს და მიღებული შედეგების საფუძველზე გაეკეთებინათ პირველადი დასკვნები. აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალების პირობები დამოუკიდებლად შექმნეს, მათ არ გამოუყენებიათ სანიმუშო ვერსიები. დღევანდელი გადმოსახედიდან ცხადია, მკაფიოდ ხედავენ გამოვლენილ ხარვეზებს, მაგრამ მიიღეს დიდი გამოცდილება და ნათლად აქვთ გათავისებული, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულმა კურიკულუმმა შესაძლოა სამუშაო პროცესში განიცადოს გარკვეული ცვლილებები. აქვე ისიც, უნდა ითქვას, რომ არსებობს მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა მშობლებთან. მასწავლებლები მათ უზიარებენ კომპლექსური დავალებების ბარათებს, პერიოდულად წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ხდება მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის გააანალიზება და შედეგების გათვალისწინება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით. სასკოლო თემის მჭიდრო და კოლეგიალური ურთიერთობა საფუძველს უყრის საუკეთესო გამოცდილებების დაგროვებას (კომპლექსური დავალება, პროექტი, აქტივობა, გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა), რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლა თანდათან ყალიბდება ინსტიტუციურ დაწესებულებად, რომელსაც ექნება საკუთარ საჭიროებებზე მორგებული უნიკალური სასკოლო კურიკულუმი. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა იყენებს საკლასო კომპლექტაციებს, რაც თავისთავად ნიშნავს სხვადასხვა განვითარების, შესაძლებლობების, უნარების მოსწავლეთა გარკვეული პერიოდით ერთ სასწავლო გარემოში გაერთიანებას. ასეთ ვითარებაში ინკლუზიურ სწავლებასა და დიფერენცირებულ მიდგომას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რაც სასკოლო საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული და ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ შექმნან უსაფრთხო, მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სააღმზრდელო და სამუშაო საქმიანობის ისეთ ღირებულებებზე დაფუძნება, როგორიც არის: მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, შესაბამისად ეს ფაქტორები კარგად ჩანს, როგორც კოლეგების ურთიერთდამოკიდებულებაში, ასევე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობებში. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია, როგორც კომფორტული ფიზიკური გარემო, ასევე მოსწავლეების ინტელექტუალური და სოციალური უსაფრთხოება/ხელშეწყობა:

სკოლის შენობის რეაბილიტაციის შედეგად მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, ინტერნეტით, მუსიკალური ცენტრით, პროექტორით, სპორტული მოედნით. არსებობს საკმარისი ადგილი იმისთვის, რომ მოეწყოს ნამუშევრების საგამოფენო ჩვენებები. კლასების ფართი იძლევა გაკვეთილის სხვადასხვა ფორმით ორგანიზების შესაძლებლობას(მერხების წრიული განლაგება, დაჯგუფება, კედლების გასწვრივ განლაგება და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ სასკოლო ფიზიკური გარემოს მოწყობაში თავად მოსწავლეები არიან ჩართულნი, მაგალითად: სასწავლო-შემეცნებითი პოსტერების, საკუთარი მხატვრული ნამუშევრების და რეპროდუქციების გამოფენა საკლასო სივრცეში და სკოლის ფოიეში.

საჭიროებიდან გამომდინარე (არაფორმალური სწავლება, მშობლებთან შეხვედრა, მოსწავლესთან ინდივიდუალური შეხვედრა, დავალებების ატვირთვა, ნამუშევრების გაგზავნა და ა.შ.) სკოლა ეფექტურად იყენებს თიმსის პლატფორმას.

სკოლას აქვს ყველანაირი ხელშემწყობი პირობა იმისთვის, რომ სსსმ მოსწავლე მარტივად ადაპტირდეს სასწავლო და ფიზიკურ გარემოში და შეძლებისგადვარად აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

მასწავლებლები ინტერესდებიან მოსწავლეთა სასწავლო პრობლემებით და იკვლევენ მათ ემოციურ, სოციალურ და აკადემიურ საჭიროებებს. ინდივიდუალურად, დიფერენცირებულად, შემოქმედებითად უდგებიან თითოეულ მოსწავლეს, ხშირად მიმართავენ მათთან დიალოგს და სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს.

გარდა სასკოლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების სისტემისა, მასწავლებლები იყენებენ არაფორმალური შეფასების ინსტრუმენტებსაც, როგორიცაა სიტყვიერი პოზიტიური კრიტიკა და პოზიტიური კომენტარი. ცდილობენ, მოსწავლეებს მცირე ასაკიდან განუვითარონ ჯანსაღი თვითშეფასების უნარი და შესაბამისად თვითრეფლექსია და პასუხისმგებლობა აქციონ მათივე წარმატება/წარუმატებლობის მთავარ საზომად.

სასწავლო მიზნების და შედეგობრივი მაჩვენებლების დასადგენად მასწავლებლები ძირითადად იყენებენ საგნობრივ სტანდარტებში მოცემულ შეფასების რუბრიკებს, მაგრამ შედეგების ანალიზის საფუძველზე პერიოდულად შეიმუშავებენ კონკრეტულ საჭიროებებზე ფოკუსირებულ რუბრიკებსაც, რაც სასწავლო პროცესში იდენტიფიცირებული გარკვეული პრობლემის/ების აღმოფხვრას ან/და რაიმე საკითხის სიღმისეულ გააზრებას ემსახურება.

სკოლაში მომუშავე მასწავლებლები სხვადასხვა ტრენინგებში, ვებინარებში და პროფესიული ხასიათი სასწავლო მოდულებში აქტიურად არიან ჩართულები. ამის მაჩვენებელია სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვა და მოსწავლეებში ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნებისა და ტრანსფერული უნარების გასავითარებელი სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება.

სასკოლო გარემოში დიდი ყურადღება ექცევა თვითრეგულირებადი ქცევის კულტურის ჩამოყალიბებას, რაც მიიღწევა კარგად დაგეგმილი გაკვეთილის, ორგანიზებული გარემოს და მოსწავლეთა ინიციატივის წახალისების ხარჯზე. კომპლექტაციით წარმოდგენილ კლასებში მოსწავლეებისთვის მკაფიოა გაკვეთილზე შესასრულებელი დავალების, აქტივობის, სამუშაოს დეტალები. ყველა მოსწავლე თავისი საქმითაა დაკავებული. შესაძლებლობა ეძლევათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება და გამოავლინონ ლიდერული უნარები.

სკოლა ხშირად ახორციელებს სასკოლო პროექტებს, სადაც გავალისწინებულია მოსწავლეების არჩევანი და შეხედულებები. ნებისმიერი ღონისძიების დაგეგმვის დროს მასწავლებლების მხრიდან ხელშეწყობილია მათი ინიციატივების და

პასუხისმგებლობების წახალისება, მაგალითად: მონაწილეობა ექსკურსიის მარშრუტის დადგენა/დაგეგმვაში, უმცროსკლასელთა დახმარება, სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება. შესაბამისად **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მასწავლებელთა თვითშფასების კითხვარები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის და კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს. მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). მონიტორინგს და შეფასებას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას მონიტორინგის განხორციელების გარკვეული გამოცდილება აქვს. წინა სასწავლო წელს ჩატარდა კვლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი საჭირობების დადგენის მიზნით. სკოლა აცნობიერებს, რომ ეს კვლევა არ არის საკმარისი ობიექტური სურათის შესაქმნელად და ამ მიმართულებით ეტაპობრივად გააუმჯობესებს მეთოდოლოგიას. სკოლაში ხორციელდება ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებისთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა. დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ფასდებიან მოსწავლეები ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კონკრეტულად მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შედეგები, ან მისი მეთოდოლოგია. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, სამომავლოდ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად და უფრო სისტემურ ხასიათს მიიღებს. **ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებს და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმებს ასევე მითითებულია, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და

გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). სასკოლო კურიკულუმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავებულია სწავლა სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. სკოლაში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები, როგორიც არის მაგალითად კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, ზოგ შემთხვევაში მოსწავლეთა მხრიდან ნაკლები ინტერესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს დავალების წარდგენისა და განხორციელების ეტაპებზე გამოვლენილი ხარვეზები და რაც მთავრია დროის მენეჯმენტის სერიოზული პრობლემა. ყველა საგნობრივ კათედრაზე შედგა გამოკითხვის შედეგების განხილვა დირექციის ჩართულობით. გამოიკვეთა არსებითი ხარვეზები და გაიმართა მსჯელობა, როგორ შეიძლება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. აქედან გამომდინარე, დგინდება რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიდან დგინდება, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესებზე დაკვირვების და კათედრებზე ურთიერთანამშრომლობის შედეგად მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. მოსწავლეების შედეგების ანალიზი ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. დირექციის წარმომადგენლები, პერიოდულად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ საგნობრივ კურიკულუმებს. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა.

სკოლას მიეცა რჩევა:

შეიქმნას და დაიხვეწოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის განსაზღვრული აქტივობების შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12;)
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- ხარისხის მართვის მექანიზმი;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შემდგომ წინსვლაში. მიმდინარე სასწავლო წლიდან გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების განხორციელებას. სკოლას ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და მათზე დაყრდნობით შეფასების შემუშავების პროცესშია. ამჟამად, სკოლას ჰყავს ინდივიდუალური საჭიროების მოსწავლეები დაწყებით და საშუალო საფეხურზე. სკოლა შეფასების სისტემებს ქმნის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალიწინებით.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია აჩვენებს, რომ სკოლაში მასწავლებელები აკეთებენ ჩანაწერებს და შემდეგ კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავებენ მატრიცებს. კოლეგების მიერ ხორციელდება თემატური მატრიცების ერთობლივი განხილვა. სკოლაში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების მეთოდსაც.

სასკოლო გეგმის თანახმად, სკოლა მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასრულებამდე 2 კვირით ადრე აპირებს ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები. დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.
სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოიყენებს მრავალფეროვან დავალებებს. შეფასებისას გაითვლალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს, დროს, გარემოს, წინასწარ ინფორმირების ხარისხს და ა.შ. შეფასება ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვლობას. გათვალიწინებულია სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები.
შეფასების სისტემის ვერიფიკაციას უზრუნველყოფს საგობრივი კათედრები, დირექტორის მიერ შექმნილი კომისია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს.გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასებისას კათედრების წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე და გასაუბრებებზე დაყრდნობით დოკუმენტის განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებას. სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოიყენებს მრავალფეროვან დავალებებს. შეფასებისას გაითვლალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს, დროს, გარემოს, წინასწარ ინფორმირების ხარისხს. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა იყენებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების, შედეგების ანალიზის მეთოდებს. მიმდინარე წელს განახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს. სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებისა და ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერებას. სკოლა გეგმავს სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოყენებს მრავალფეროვან დავალებებს, როგორებიცაა: პრეზენტაციები, კომპლექსური დავალებები, დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პროექტი, რეფერატი **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. მიმდინარე წლის სასწავლო გეგმით გათვალიწინებულია შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალიწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმები, რომელშიც გათვალიწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, პროგრესი, საკლასო გარემო, სასწავლო რესურსები, მოწავლის ინტერესები, შესაძლებლობები და ა.შ.
სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებლების თვითშეფასების დოკუმენტი, რომელშიც ნაჩვენებია პროფესიული განვითარებისკენ სწრაფვა, სასწავლო პროცესის ანალიზისა და დაგეგმვის უნარები. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგია.
- სკოლის თვითშეფასება.
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3 იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

4 კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდა განვლილი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, ამასთან ერთად სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას კონსულტაციებს გადის საგნობრივი ექსპერტებთან და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერ ჯგუფთან, ამ მონაცემების შეჯერების და რეკომენდაციების საფუძველზე სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; რომლის რეკომენდაციებიც ჩაიშლება მიმდინარე სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია სკოლის კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. **ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებულია კურიკულუმის რევიზიის პროცესში, რომლებიც ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, რამდენად მიზნობრივად შესრულდა კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და როგორ აისახა იგი მოსწავლის შედეგებზე. მიღებული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება ახალ სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ამის შედეგად სკოლის 2023-24 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის რევიზირებული კურიკულუმები, ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს. **ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასება
- საგნობრივი კურიკულუმები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



27.11.2023

.....

თარიღი